Akhali Taoba akhalitaoba.ge

ᲜᲘᲥᲐ ᲛᲔᲚᲘᲐ: "ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲠᲔᲑᲣᲚᲝᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲕᲪᲔᲛᲝᲗ "ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ" ᲓᲔᲞᲣᲒᲐᲒᲔᲑᲘ, ᲥᲐᲑᲘᲜᲔᲒᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲥᲔᲒᲝᲗ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲒᲧᲔᲛᲐᲚᲐᲫᲔ, ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲓᲐᲘᲡᲯᲔᲑᲐ?"



1 ᲛᲐᲠᲒᲘᲦᲐᲜ

კანდიდ ჩარკვიანი **სტ**ბᲚᲘᲜᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ

33**1**を円**空**331 **電35**1 **33**530 **3**50300 **3**50300 **3**50300 **3**50300 **3**50300 **3**50300 **3**50300 **3**50300 **3**50300 **3**50

პარასკევი, 2 მარტი, 2018 №51 (7596) ფასი: 50 თეთრი

STATE TO THE TEST TO THE STATE OF THE STATE



გიორგი გიუაშვილი: "ოცნებამ" ხელფასის გაზრდის მოთხოვნით დეპუტატები მძევლად აიყვანა"





რას აპირებს საქართველოს ხელისუფლება

ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲒᲘᲕᲐ — "ᲝᲗᲮᲝᲖᲝᲠᲘᲐ–ᲒᲐᲒᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲘᲐ"

საქართველოს მოქალაქეთა შემდგომი გატაცებისა და სიცოცხლის მოსპობის თავიდან აცილებისათვის მნიშვნელოვანია, საოკუპაციო რეჟიმის თითოეული წარმომადგენლისათვის ცხადი იყოს, რომ საქართველოს სახელმწიფო არასდროს შეეგუება თავისი მოქალაქეების სიცოცხლისა და თავისუფლების დარღვევას და გააკეთებს ყველაფერს დამნაშავეთა და მათი მფარველების დასასჯელად, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი.





<mark>ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ඎ</mark>7 ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐ**Ტ**ᲣᲠᲐ



ᲐᲜᲓᲠᲐᲜᲘᲙ ᲛᲔᲚᲒᲝᲜᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ



ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ _{83.}6

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ 230 ᲐᲗᲐᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ ᲗᲕᲔᲨᲘ 100 ᲚᲐᲠᲖᲔ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ



ᲜᲐᲦᲐᲠᲑᲐᲖᲔᲕᲘᲡ ᲒᲑᲐ ᲘᲧᲘᲦᲔᲑᲐ







ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲮᲐᲜᲫᲠᲘᲗ ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚ ᲛᲔᲜᲐᲠᲛᲔᲔᲑᲡ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲡ ᲩᲐᲛᲝᲣᲜᲔᲠᲡ



ᲖᲐᲖᲐ ᲒᲐᲑᲣᲜᲘᲐ ᲜᲘᲙᲐ ᲛᲔᲚᲘᲐᲡ: "ᲒᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲛᲘ ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲐᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲒᲘᲜᲝᲙᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ"



ᲠᲐ ᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ "ᲡᲘᲗᲘ ᲞᲐᲠᲙᲘᲡ" ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ



ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲨᲕᲘᲚᲖᲔ ᲝᲯᲐᲮᲘ 20 ᲚᲐᲠᲡ, ᲛᲝᲛᲦᲔᲕᲜᲝᲖᲔ — 10 ᲚᲐᲠᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ

ᲨᲔᲐᲤᲔᲠᲮᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲩᲕᲔᲜ ᲜᲐᲒᲝᲡᲙᲔᲜ ᲕᲘᲡᲬᲠᲐᲤᲕᲘᲗ"

ნონა ცაბაძე

"ახალი თაობის" კითხვებს ქართული დასის ლიდერი **ჯონდი ბაღათურია** პასუხობს.

– ბატონო ჯონდი, წერილს სათაურით "პროდასავლური პოლიტიკა ქვეყნის განვითარებას აფერხებს "ხელს საზოგადოებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლები აწერენ და ეს წერილი საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისთვის არის განკუთვნილი. რუსეთუმეები და საბჭოთა ინტელიგენცია – ასე მოინათლნენ წერილზე ხელმომწერი ადამია-ნები. კრემლში დაიწერა ეს წერილი და მათ ხელი მოაწერინესო. რას იტყვით თქვენ, რა იყო ამ მიმართვის გავრცელების არსი?

პირველ რიგში, ასეთ შეფასებას არ ვეთანხმები. ამ წერილის შინაარსს ეთანხმება საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა და ნამდვილად ვერ გავიზიარებ იმ აზრს, რომ საზოგადოების დიდ ნაწილში მოჰყვა ამას უარყოფითი შეფასება. რაც შეეხება ამ უკიდურეს შეფასებებს, რომლებსაც ბრძანებთ, ასეთ შეფასებებს აკეთებენ ინტელექტუალურად ღატაკი ადამიანები, რომლებიც თავიანთ აგრესიას გამოხატავენ იმის გამო, რომ უფრო შესამჩნევი გახდეს მათი მონური ერთგულება დამფინანსებლებისთვის.

ასეთ რადიკალურ და კატეგორიულ შეფასებებს ადამიანები ყოველთვის აკეთებენ დაფინანსების საფასურად. ასეთი შეფასებების ავტორებს ყოველთვის აკლიათ ცოდნა, გამოცდილება, ჭკუა და ნამუსი. ეს ადამიანები იმიტომ ყვირიან ასე ხმამაღლა, რომ უფრო შესამჩნევი გახდნენ მათთვის, ვინც მათ გრანტებით აფინანსებს.

–*ჩვენი მოსახლეობის ევროპისკენ სწრაფ*ვა, განაწყენება ოკუპანტზე ჭკუანაკლებობისგან მომდინარეობს?

– რატომ გადაგყავთ სხვა ჭრილში? მე ეს შეფასება გავაკეთე ზემოთ დასმული კითხვის კონტექსტში იმ ადამიანების მისამართით, რომლებმაც მსგავსი შეფასებები გამოიყენეს. ევროპისკენ სწრაფვა აქვს ჩვენი საზოგადოების ნაწილს. ეს საკმაოდ გასაგები სწრაფვაა. მათ აქვთ ამის უფლება. შეიძლება, ერთმანეთს ხედვებში არ ვეთანხმებოდეთ, მაგრამ ეს დისკუსიის საგანია და არა – ლანძღვა-გინების. ასეთ შეფასებას ვაკეთებთ მათ მიმართ, ვისგანაც ეს ასეთი უკიდურესი შეფასებები წამოვიდა. ჩვენ შეიძლება ვინმე არ გვეთანხმებოდეს, მაგრამ მათ პოზიციას პატივს ვცემთ. ყველამ იცის, რომ საქართველოში ეს ულტრაპროდასავლური ლიბერალური კურსი დაფინანსებულია და სწორედ ამიტომ უყვართ



– პრორუსული ძალები გაააქტიურა რუსეთმა საქართველოში. ეს წერილი კრემლშია დაწერილი და თქვენ ხელი მოგაწერინეს?

– თქვენ გინდათ, რომ მე კომენტარი ვაკეთო მარგინალური ჯგუფების შეფასებებზე?!

— *ყველა აზრს აქვს არსებობის უფლება.* – მაშინ მე უკვე გაგეცით პასუხი, რომ არ ვეთანხმები ამ შეფასებებს და ისიც გითხარით, რასაც ვფიქრობ მათზე! დღეს საინფორმაციო ველში, პრესაშიც და ტელევიზიაშიც, პოზიცია დათმობილი აქვს ორ უკიდურეს რადიკალურ პოზიციას. ერთია უკიდურესად პროდასავლური, რომელიც დაახლოებით ასე გამოიყურება: ოღონდ ამერიკა და ნატო იყოს კარგად და საქართველო წყალსაც

წაუღია. ნატოს ხათრით დედასაც კი გაყიდიან! მეორე, ასევე უკიდურესი პოზიციაა, რომ რაღაცა რუსული პენსიები დავარიგოთ, დროშები გავაუქმოთ და ასე შემდეგ... რაც ზუსტად ისევე მიუღებელია, როგორც პირველი. ქართულ პოზიციას ადგილი არასდროს ეთმობა. ამ წერილში კი სწორედ ქართული პოზიციაა გამოთ-

– რა არის თქვენი პოზიცია?

– ჩვენ არც იმაზე ვლაპარაკობთ, რომ კარი გამოვიჯახუნოთ და ევროპასთან ურთიერთობა შევწყვიტოთ, მაგრამ ვლაპარაკობთ იმაზეც, რომ რუსეთთან კონფრონტაციული ურთიერთობები სიკეთის მომტანი არ არის.

– წერილის პათოსი ასეთია, რომ ნატოსკენ სწრაფვამ და ევროინტეგრაციამ ჩვენი ქვეყნის ინტერესები დააზარალა, ამ ფონზე კი მათგან სანაცვლოდ ვერაფერი მივიღეთ დახმარების

– აი, ეს არის ამ წერილის საკვანძო ადგილი და მთელი პათოსი. ნატო არ არის რელიგია, რომლისაც უნდა გწამდეს თვალდახუჭულს და შეკითხვები არ უნდა გქონდეს. ჩვენ გვაქვს უფლება, დავსვათ კითხვა, რა სარგებლობა შეიძლება მივიღოთ ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში?! ჩვენ ვამბობთ, რომ საქართველოს სწრაფვამ ნატოში გაართულა რუსეთთან ურთიერთობები.

– ამიტომ რუსეთის შიშით ნაბიჯი ვერ უნდა გადავდგათ თუ როგორ არის ეს ყველა-

– მე ეს არ მითქვამს. რუსეთის შესაძლებლობებმა განაპირობა ის, რომ ჩვენ ტერიტორიები დავკარგეთ და ამან ქვეყნის განვითარება შეაფერხა. კი ბატონო, ჩვენი ქვეყნის განვითარება რუსეთმა შეაფერხა.
— და ნატო რა შუაშია? არ უნდა ყოფი-

ლიყო ნატოსკენ სწრაფვა?

– შეაფერხა იმიტომ, რომ ჩვენ ნატოსკენ ვისწრაფვით. ქვეყნის განვითარება რუსეთთან კონფრონტაციამ შეაფერხა და არა ნატომ. საქართველომ უნდა აირჩიოს ისეთი კურსი, რომელიც სახელმწიფოსა და ხალხს სარგებლობას მოუტანს. ნებისმიერი არჩევანის შემთხვევაში უნდა იყოს თანმიმდევრული. თუ საქართველო დაადგება ნატოს კურსს, მაშინ საქართველომ ნატოს წევრი სახელმწიფოებისგან რაღაც სარგებლობა უნდა მიიღოს! როცა საქართველომ მთელი 30 წელია, ამხელა მსხვერპლი გაიღო ნატოს წევრი სახელმწიფოების ინტერესებისთვის, ტერიტორიები დავკარგეთ, ხალხი გაღატა-

– და ეს ყველაფერი ნატოსა და ევროპის პრალია თუ რისი თქმა გინდათ ამით?

– იმის, რომ 30 წლის მერე ნატო გვთავაზობს, გაწევრიანდით ნატოში, ოღონდ უსაფრთხოების გარანტიების გარეშეო, ეს სასარგებლოა საქართველოსთვის?! ნატო, პირველ რიგში, სამხედრო ალიანსია! დღემდე თუ ვინმეს რამე იზიდავდა ნატოში, პირველ რიგში – უსაფრთხოების გარანტიები. ამაზეც თუ უარი ვთქვით, რა გამოვა? ეს რა შემოთავაზებაა?!

გვთავაზობენ, მოგვეცით საშუალება, საქართველოს ტერიტორია გამოვიყენოთ, როგორც პოლიგონი, განვათავსოთ სარაკეტო სისტემებიო, რითაც ნატოს წევრი სახელმწიფოები მოიპოვებენ სამხედრო უპირატესობას რუსეთთან და სათავისოდ ივაჭრებენ რუსეთთან. ამით საქართველოს რა ხეირი მერე?! ამხელა რაღაც უნდათ ჩვენგან და ამერიკელები გვეუბნებიან, ჩვენგან დაცვაც არ მოითხოვოთო! ეს არის აბსოლუტუ-რად უტაქტო და არაკორექტული შემოთავაზება ქართველი საზოგადოებისთვის და აბსოლუტუ-რად არ შეეფერება მოკავშირეობას. მოკავშირეობა მე ვიცი ორმხრივი.

ან შეხედეთ, ევროპა რა დღეშია, მუქარა მუქარაზე ისმის. განა რა პრობლემა შეუქმნა 500მილიონიან ევროპას აქედან სამუშაოდ წასულმა თუნდაც 5 ათასმა კაცმა?!

— *კრიმინალებით გაივსო ევროპაო.* – ევროკავშირმა ქართველებს არ მისცა არც სამუშაო და არც სასწავლო ვიზა, შესაბამისად, ქართველებს უწევთ ასეთი გზების გამოყენება და იქ არალეგალურად დარჩენა. სხვა მეტ დანაშაულს ჩადის, მაგრამ მაინც ქართველი ჩანს. მე არ ვამართლებ ამ საქციელს, ნამდვილად არ არის კარგი. არც ის მომწონს, რომ ქართველები აქედან მიდიან და ქვეყანას ტოვებენ. რატომ უნდა ვუხადოთ ბოდიში მთელ ევროპას ასე მონურად, თურმე რატომ მოითხოვეს ქართველებმა იქ თავშესაფარი! იმიტომ მოითხოვეს, რომ 30 წელია, ყველა ხელისუფლება მათ ემსახურება.

ჩვენგან ამხელა სარგებლობის მიღება უნდათ, სურთ, აქ განათავსონ სარაკეტე სისტემები, რუსეთის სამიზნედ გვაქციონ და ისიც არ უნდათ, აქედან სამუშაოდ ხალხი ჩავიდეს!

დროა, დაფიქრდეს ჩვენი ხელისუფლება და ესა თუ ის გადაწყვეტილება მიიღოს იმის მიხედვით, თავის ხალხს რა სარგებლობას მოუტანს და ასევე სახელმწიფოს. გეუბნებიან, შენს ქვეყანას პოლიგონად გადავაქცევთ და არც არაფერში დაგეხმარებითო. აი, ეს გახდა მიზეზი ჩვენი პოზიციის დაფიქსირების, რომელიც არის ძალიან ზომიერი და მას ხელი მოაწერეს ძალიან ღირსეულმა ადამიანებმა. მე ვიტყოდი, მთელმა ნაღებმა ქართული ინტელიგენციისა.

– რომელიც წითელ, საბჭოთა ინტელიგენციად მოინათლა.

– ბოდიში, მაგრამ ვინ გააკეთა ასეთი რადიკალური შეფასება?! ალბათ იმ ახალმა ცისფერმა ინტელიგენციამ, რომელიც გრანტის საფასურად გაჰყვირის ამას! როგორ შეიძლება, იმ ხალხს, ვინც ამ მიმართვას ხელს აწერს, წითელი ინტელიგენცია უწოდო?! ამას არავინ იკადრებს, გარდა მათი, ვინც ერთხელ უკვე ვახსენე და რომლითაც ცდილობენ ქართული ელიტის ჩანაცვლებას!

ვინ არის აბა დღეს ელიტა და ინტელიგენრომ დათვრება და პატრიარქს აგინებს და მერე ცდილობს პოლიციაზე ყველაფრის გადაბრალებას?! აი, ეს არის დღეს ქართული ელიტა! ნარკოტიკებით გაბრუებული და მარგინალიზებული ადამიანები, რომლებსაც გვთავაზობენ, როგორც ქართულ ელიტას.

შე არ ვეთანხმები ამას და არ ვიღებ ამ შემოთავაზებას!

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲨᲕᲘᲚᲖᲔ ᲝᲯᲐᲮᲘ 20 ᲚᲐᲠᲡ, მომღევნოზე - 10 ლარს მიიღებს

პარლამენტის მხარდაჭერის შემთხვევაში, ოთხშვილიანი ოჯახები სახელმწიფოსგან თვეში 20 ლარს მიიღებენ, ყოველ მომდევნო ბავშვზე კი 10 ლარი დაემატებათ. კანონპროექტის ინიციატორი საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტია. კანონპროექტის ავტორების თქმით, ცვლილებები დაახლოებით 12.000 ოჯახს შეეხება, რომელსაც 4 ან მეტი შვილი ჰყავს და რომელთა სარეიტინგო ქულაც 300.000-ს არ აჭარბებს.

როგორც ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი ხუნდაძემ განაცხადა, კანონპროექტის მიზანია სახელმწიფოს მხრიდან მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსის განსაზღვრა და მხარდაჭერა.

დიმიტრი ხუნდაძის თქმით, კანონპროექტი დაახლოებით 12.000 ოჯახს შეეხება და ის არ იქნება მხოლოდ სოციალურად დაუცველ 4 ან მეტ შვილიან ოჯახებს:
– ჩვენი მიზანია, სამიზნე ჯგუფი

გახდეს 4-შვილიანი ოჯახები და მათზე განხორციელდეს მხარდამჭერი და შვების მომცემი პროექტები. მაგალითად,



ერთ ინიციატივაზე უკვე გვაქვს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმება რომ ელექტროენერგიის სუბსიდირება მოხდეს. ასევე, ყოველ მეოთხე ბავშვზე ოჯახმა მიიღოს 20 ლარი, ყოველ შემდეგ ბავშვს კი დაემატება 10 ლარი, – თქვა დიმიტრი ხუნდაძემ კომიტეტის სხდომაზე.

დეპუტატის თქმით, კანონპროექტი ასეთი ოჯახების დიდ რაოდენობას შეეხება. კერძოდ, სერვისით ისარგებლებენ 4 ან მეტშვილიანი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულაც 300.000-ს არ აჭარბებს:

– 300.000 ქულამდე ოჯახის სა-შუალო თვიური შემოსავალი 1.000-დან 3.000 ლარამდეა. ასეთი ოჯახის თვიური კომუნალური ხარჯი 500-დან 1.000 ლარამდე მერყეობს. კანონპროექტის მიხედვით, 4-შვილიანი ოჯახს სახელმწი-

ფო ნელინადში 240 ლარით დაეხმარება, ყოველ მომდევნო ბავშვზე კიდე წე-ლიწადში 120 ლარით მეტს მიიღებენ. ჩვენ გვესმის, რომ ეს ბევრი არაა, თუმცა მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება, – თქვა

დეპუტატის თქმით, კანონპროექტი მიღების შემთხვევაში დაავალდებულებს მთავრობას შეიმუშაოს ასეთი ოჯახებისთვის სტატუსის მინიჭების სისტემა და დააწესოს სხვადასხვა სერვისები. როგორც ხუნდაძემ განაცხადა, კანონპროექტის ფარგლებში შეხვედრები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან მიმდინარეობს, რათა სერვისები გაფართოვდეს:

– ჩვენ გვაქვს სამინისტროებთან მოლაპარაკებები. სხვადასხვა სერვისების დანერგვისთვის. მაგალითად, სახელოვნებო და სპორტულ წრეებზე რომ ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა ბავშვებს მრავალშვილიანი ოჯახებიდან. ამ კანონპროექტით, ჩვენ ვაჩენთ ვალდებულებას მთავრობისთვის, რომ 1 ივნისამდე სტატუსის მინიჭების სისტემა და სოციალური პაკეტები შექმნას, – ამბობს დეპუტატი.

ᲒᲘᲐ ᲛᲐᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲪᲮᲔᲦᲠᲘᲡ ᲒᲐᲦᲛᲝᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ **ᲓᲐ**ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲓᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ

"ლიდერთა სკოლის" დამფუძნებლის, პოლიტიკოს გია მაისაშვილის ცხედრის საქართველოში გადმოსვენების თარიღი ჯერჯერობით

როგორც "ინტერპრესნიუსთან" საუბრისას გია მაისაშვილის ძმამ, ანზორ მაისაშვილმა განაცხადა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გარკვეულ დეტალებს აგვარებს, თუმცა მისთვის უცნობია, როდის მოხერხდება ცხედრის გად-

– საკონსულომ უნდა გადმო**-**

ასვენოს ცხედარი, თუმცა, ჯერჯერობით არ ვიცით, როდის მოხერხდება გადმოსვენება. ცხედარი დასვენებულია ამერიკაში, დროებით საცხოვრებელში. საკონსულოს განკარგულებაშია ეს პროცედურებიც და გიას ვხედარიც. ალბათ, გადამზიდავ კომპანიაზეა დამოკიდებული გარკვეული საკითხები, ამიტომ, ჯერჯერობით არ ვიცით, როდის ჩამოასვენებენ. საგარეო საქმეთა სამინისტროდან გარკვეული საბუთები მოითხოვეს, მათ შორის დაბადების მოწმობა. მე ყველა საბუთი მივიტანე და ველოდებით პროცედურების დაწყებას, – განაცხადა ანზორ მაისაშვილმა

მისივე თქმით, თბილისში ჩამოსვენების შემდეგ გია მაისაშვილის აულის მოსახსენიებელ პანაშვიდს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის სიონის საკათედრო ტაძარში გადაიხდიან. გარდაცვლილის ძმისთვის ჯერჯერობით უცნობია, სად დაიკრძალება გია მაისაშვილი.

გია მაისაშვილი 56 წლის ასაკში, რამდენიმე დღის წინ გარდაიცვა-

abaen

> გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი **მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი **რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი **რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსა_გიშვილი

კონსულტანტები ლთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55 **გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული. ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91

33റ്-ുട്ടൂൻ്റ്റ്റ് www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცზადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



፠ንᲛን**Მ**በᲠᲘᲡ ᲑᲣᲜᲒᲘ ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲨᲘ

გიორგი გიუაშვილი: "ოცნებამ" ხელფასის გაზრდის მოთხოვნით დეპუტატები მძევლად აიყვანა"

შორენა მარსაგიშვილი

ბორჯომელმა მეოცნებეებმა ზამთარი ხმაურით გააცილეს — ხელფასის გაზრდის მოთხოვ-ნით მათ ნამდვილი ბუნტი მოაწყვეს. საინტერესო ისაა, რომ ბუნტი ხელისუფლებაში მყოფმა ძალამ ოპოზიციას მოუწყო. აქ ოპოზიცია უმრავლესობაშია და 13 მეოცნებე მათი დახმარების გარეშე ხელფასების გაზრდას ვერ ახერხებს. ბორჯომის บงงู้คำองๆ ๓ กูคดง อาคดาง บงปุงคดรายคาสิก, บงდაც უმრავლესობა ოპოზიციას აქვს.

საკრებულოს უმრავლესობას მერიისა და "ქართული ოცნების" წარმომადგენლები იმის გამო დაუპირისპირდნენ, რომ უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელფასის 900 ლარით, ხოლო მერიის სამსახურების უფროსებისთვის 450 ლარით გაზ-

ჯამაგირის ბუნტი

თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ 28 თებერვალს ბორჯომის საკრებულომ პირველად მოახერხა შეკრება და ალბათ ჯობდა, არ შეკრებილიყვნენ. ისეთი ცემა-ტყეპა ატყდა, ნე-ბისმიერ მძაფრსიუჟეტიან ფილმს რომ დაამშვენებდა. ამ ჩხუბს განსაკუთრებულ ეშხს ის სძენდა, რომ ჩხუბი ხელფასების მომატების გამო ატყდა. უმრავლესობაში მყოფმა ოპოზიციამ ხელისუფლებას უარი უთხრა.

orugiil Icipality

განცხადებით, თუ ხელფასები არ გაიზრდება, ისინი გაფიცვას დაინ-

"გედის ხელისბიჭების მძევლები"

თანაპარტიელების საშველად ბორჯომში ლეიბორისტებიც ჩავიდნენ. მათმა წარმომადგენელმა გიორგი გიუაშვილმა საკრებულოს სხდომაზე მაგრად იჩხუბა. მასაც ბევრი მოარტყეს. მისი თანაპარტიელების თქმით, გიუაშვილი ისეთი ნაცემი იყო, რომ ყბა ბორჯომიდან

ასპინძამდე ჰქონდა გახეული. "ახალ თაობასთან" საუბარში მან დაადასტურა, რომ მოხვდა, მაგრამ მისი ხელი სხვებსაც

– თქვენი თანაპარტიელები ამბობენ, რომ მაგრად ხართ ნაცემი. მართლა ასეა?

ჩხუბის დროს მეც მომხვდა და სხვასაც მოვარტყი. ჩემი თანაპარტიელები შეწუხებული არიან ჩემ გამო, მაგრამ დიდი არაფერი მჭირს. მართლა ეგრე რომ ვიყო ნაცემი, ხომ ვერ დაგელაპარაკებოდით.

– შეგიძლიათ გვითხრათ, რა მოხდა **28** თებერვლის საკრებულოს სხდომაზე?

- რა მოხდა და საშინელება. ოპოზიცია საკრებულოში არის უმრავლესობაში და ჩვენი თანხმობის გარეშე ეგენი ხელფასებს ვერ იზრდიან. ჩვენ ხელფასების გაზრდაზე უარი ვუთხარით, რასაც ჯერ სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა, შემდეგ ეს ცემატყეპაში გადაიზარდა.

საკრებულოს დეპუტატების გარდა, პარლამენტის წევრებიც გალახეს. ნიკა მელიას დაარტყეს "ოც**-**ნების" ზონდერებმა ხელი. ისე უნდოდათ ხელფასების მომატება, რომ მძევლების აყვანასაც არ მოერიდნენ.

– მძევლად ვინ აიყვა**-**

– საკრებულოს წევრები. მათმა ნაწილმა შენობიდან გამოსვლა ვერ შეძლო. მთელი "ოცნე-

ბის" აქტივი საკრებულოსთან იყო მობილიზებული. მათ აიყვანეს მძევლად ნიკა მელიაც. საკრებულოს შენობაში არ შემოუშვეს კიდევ ერთი დეპუტატი, სერგო

ჩვენ არაერთხელ მოვუწოდეთ შსსს რეაგირებისკენ, მაგრამ მათგან პასუხი არ მიგვიღია. კანონის თანახმად, დეპუტატების ცემა და მძევლად აყვანა დასჯადია, მაგრამ მეეჭვება, ეს საქმე გამოიძიონ. გედი ფოფხაძის ხელისბიჭებმა ხელფასების გამო დეპუტატები მძევლად აიყვანეს, სამართალდამცავები კი არ რეაგირებენ.

– გედი ფოფხაძე ახსენეთ და ის გამოსავალს ხელახალ არჩევნებში ითხოვს. ამაზე რას ფიქრობთ?

– კარგს არაფერს. ფოფხაძე რა უფლებით ლაპარაკობს ბორჯომზე?! აქ ოთხ წელიწადში ერთხელ ჩამოდის. ჩამოსვლა არც სჭირდება, ყველაფერს მისი

ხელისბიჭები აგვარებენ. —*ხელახალი არჩევნების ჩატარების იდეას* როგორ აფასებთ?

– რატომ ?

– იმიტომ, რომ ეს არ იქნება არჩევნები. ეს იქნება სპეცოპერაცია. ხომ ხედავთ, ხელფასებზე რას შვრებიან და არჩევნების დღეს მთელი სუსი და ძალოვნები აქ იქნებიან. ხალხი ამათ ხმას არ მისცემს, მაგრამ ტერორით გააყალბებენ.

28 თებერვალს განცდილი მარცხის შემდეგ "ქართულმა ოცნებამ" სტრატეგია შეცვალა. იმ დროს, როცა თქვენ გელაპარაკებით, ხელისუფლება ხალხის მობილიზებით არის დაკავებუ-

ხალხს აგროვებენ აიპებიდან, სახელმწიფო ორგანიზაციებიდან, შპს-ბიდან, როგორც წინა-

საარჩევნო შეხვედრას ატარებენ ძალით, რომ მოყრიან ყველას, ისე აპირებენ ჩვენ წინააღმდეგ რაღაც გამოსვლის გაკეთებას ქალაქში, ქმნიან ქაოსსა და დესტრუქციულ მოვლე-ธาวนี้, ศีกดี อีกษัญาน อีกศ_ัฐกอฮิก დაპირისპირება, ხელჩართული ბრძოლა.

> მერის ულტიმატუმი

გაზაფხულის პირველ დღეს ბორჯომი საგანგებოდ დახვდა. მეოცნებეების აქცია

საღამოს 5 საათისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ ქალაქი სპეცრაზმით დილიდანვე გაივსო.

მეოცნებეებმა სწორედ მათთან ერთად ჩაატარეს დაანონსებული აქცია. პარტიულმა აქტივმა მოითხოვა საკრებულოს ხელახალი სხდომის გამართვა, სადაც ხელფასების გაზრდის საკითხი დადგება დღის წესრიგში.

აქციის მონაწილეებმა საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ჩაჩანიძის გადადგომაც მოითხოვეს. ჩაჩანიძე პატრიოტთა ალიანსის წევრია.

აქციაზე გამოჩნდა ბორჯომის მერი ლევან ლიპარტია. მისი თქმით, რამდენიმე პარტიას



ბორჯომში სიტუაციის არევა უნდა. ამასთან დაკავშირებით მერმა საგანგებო განცხადება გაავრცელა.

– რიგ პოლიტიკურ ძალებს სურთ, მოსახ ლეობა შეცდომაში შეიყვანონ, ისინი ამბობენ, თითქოს მე მსურს საკუთარი თანამდებობრივი სარგოს გაზრდა და სწორედ ამის გამოა ბორჯომში მსგავსი ვითარება შექმნილი. უკანასკნე-ლი 3 თვის განმავლობაში ბორჯო-

მის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს არ მიუღიათ კუთვნილი ანაზღაურება, რაც საკრებულოს თავ-მჯდომარე ზაზა ჩაჩანიძისა და მისი გავლენის ქვეშ მყოფი საკრებულოს წევრების დესტრუქციული ქმედებების შედეგია. მათი ვიწროპარტიული ინტერესების გამო თვეების განმავლობაში უხელფასოდაა დარჩენილი ასეულობით ადამიანი, რომელთა უკანაც ოჯახები დგანან.

მსგავსი დესტრუქციული სახის ქმედებები აფერხებს მუნიციპალური სამსახურების გამართულ საქმიანობას, ამის გამო კი მოსახლეობას შესაბამისი სერვისებით სარგებლობის საშუალება არ ეძლევა.

რიგ პოლიტიკურ ძალებს სურთ, მოსახლეობა შეცდომაში შეიყვანონ. ისინი ამბობენ, თითქოს მე მსურს საკუთარი თანამდებობრივი სარგოს გაზრდა და სწორედ ამის გამოა ბორჯომში მსგავსი ვითარება შექმნილი. მიუხედავად იმისა, რომ თანამდებობრივი სარგოს ზრდას კანონი ითვალისწინებს, როგორც მუნიციპალიტეტის დემოკრატიულად არჩეული მერი, მზად ვარ, უარი ვთქვა საკუთარ งธิงจิตงๆคั้ეจึงเบองธ์ ซึ่งงูงสู่สึกคั้าจ้ულ ცვლილებაზე.

მივმართავ საკრებულოს თავმჯდომარესა და მის მხარდამჭერებს, უარი თქვან დესტრუქციულ ქმედებებზე, გვერდზე გადადონ ვიწრო-

პარტიული ინტერესები და მხარი დაუჭირონ მუნიციპალიტეტის სხვა თანამშრომლისთვის კანონით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ზრდას, საშუალება მისცენ მერიის თანამშრომლებს, სრულყოფილად განახორციელონ მათზე დაკისრებული მოვალეობები და დაასრულონ ის დესტრუქციული ქმედებები, რომლებსაც ადგილი აქვს უკანასკნელი დღეებისა და თვეების



განმავლობაში, – განაცხადა ლიპარტიამ.

საინტერესო განცხადება გააკეთა საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნების" თავმჯდომარე ირაკლი კვირკველიამ.

- ზაზა ჩაჩანიძისა და ნაციონალების გარეშე ბორჯომს გაუმარჯოს. ჩვენ აქ მხოლოდ იმიტომ არ შევიკრიბეთ, რომ ხელფასების გაზრდას ვითხოვთ. ჩვენ ვითხოვთ, ჩვენი შრომის ანაზღაურება ავილოთ. მისი აღება იმიტომ გვინდა, რომ უფრო გალამაზდეს ბორჯომი. არ შეიძლება, ქალაქი ერთი ღვარძლიანი ადამიანის ინტერესებს შეეწიროს, – აღნიშნა კვირკველიამ.

მეოცნებეთა მოთხოვნას გამოეხმაურა ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარეც. ზაზა ჩაჩანიძისთვის გაუ-გებარია, რატომ უნდა დატოვოს თანამდებობა ვინმე ირაკლი კვირკველიას გა-

– მე ამირჩია ხალხმა და ისე ვიმოქმედებ, როგორც ბორჯომისთვის უკეთესი იქნება. კვირკველიას მოთხოვნების შესრულებას არ ვაპირებ, – ამბობს საკრებულოს თავმჯდომარე.

სახელფასო ბუნტის ფონზე საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია გამოაქვეყნა ორგანიზაცია "ფლანგვის დე-

ირკვევა, რომ ბორჯომის გამგე**-**ობის თანამშრომელი სათხილამურო კურორტ ლოზანაში სამუშაო მივლინებით გაუშვეს, თუმცა მან მივლინების 9 დღე იტალიის სხვადასხვა ქალაქში გაატარა

და არცერთი საქმიანი შეხვედრა არ გაუმართავს. – ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბაკურიანის გამგებლის წარმომადგენელმა მოითხოვა მურო კურორტ ლ რათა სამთო-საკურორტო ინფრასტრუქტურას გასცნობოდა. ბაკურიანის გამგებელმა გამოსცა ბრძანება იტალიაში 9-დღიანი მივლინების შესა-

გამგებლის წარმომადგენელს იტალიაში არ გაუმართავს ოფიციალური შეხვედრები. ის არ გასცნობია სამთო-სათხილამურო ინფრასტრუქტურას. მივლინება მან რომში, მილანსა და ფლორენციაში გაატარა.

2015-2016 წლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტმა წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მოსამსახურეთა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას 64.500 ლარი დახარ-

ჯა, – აღნიშნავენ "ფლანგვის დეტექტორში". მათი განმარტებით, მივლინების მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, პირმა მივლინებაში ყოფნის პერიოდში მიღებული ცოდნა და გამოცდილება ანგარიშის სახით წარუდგინოს მუნიციპალიტეტს. ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მივლინების მიმდინარეობის, შესრულებული სამუშაოებისა და მიღწეული შედეგების შესახებ.



ბის გაზრდაზე უარს ეუბნებოდა. ბორჯომის საკრებულოში მიმდინარე ამბებს თბილისიდანაც გამოეხმაურნენ. პარლამენტის რამდენიმე წევრი ბორჯომში ჩავიდა, დანარჩენები თბილისიდან კრულავდნენ ბორჯომელ ქოცებსა და შსს-ს. სამართალდამცავები ბორჯომულ ბართლომეს ღამეს ოლიმპიური სიმშვიდით

ადევნებდნენ თვალს. სასურველი ხელფასის მისაღწევად მმართველი პარტიის წევრებმა ოპოზიციონერები საკრებულოს შენობაში გამოკეტეს. გამოკეტილებს იმ ოქმზე სთხოვდნენ ხელის მოწერას, რომელიც ხელფასების გაზრდას ითვალისწინებდა.

დატყვევებულ, ნაცემ და მშიერ-მწყურვალ ოპოზიციონერებს დაბლიდან ამხნევებდნენ თანაპარტიელები. შენობის გარეთ "ოცნების" მხარდამჭერებიც შეიკრიბნენ და ჩხუბი სუფთა ჰაერზეც გაგრძელდა.

დეპუტატ ნიკა მელიას გამოჩენამ სიტუა-ცია კიდევ უფრო დაძაბა. დაინახეს თუ არა ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, მეოცნებეებმა ისეთი ყიჟინა დასცხეს, კაცი იფიქრებდა, ბაში-აჩუკმა ჩამოიარაო.

თანაპარტიელების საშველად ჩასულ დეპუტატს რამდენიმე მუშტი მოხვდა. მას კეთილებიც აგინეს. ისინი უპასუხოდ არც მელიას დაუტოვებია. დიდი მცდელობის მიუხედავად, მან ვერ შეძლო შენობის სიღრმეში შესვლა.

პარლამენტის წევრებმა შსს-ს არაერთხელ მოუწოდეს რეაგირებისკენ, მაგრამ უწყება დუმდა.

მეოცნებეთა მიერ გამოკეტილი ოპოზიციონერები შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ, საჭმელი და სასმელი წყალი თო-

რამდენიმესაათიანი ბრძოლის შემდეგ "ოცნებამ" ახალი გადაწყვეტილება მიიღო და 1 მარტს აქცია დააანონსა. მათი





ᲝᲡᲔᲑᲘ ᲐᲠᲩᲘᲚ ᲒᲐᲒᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲪᲮᲔᲦᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲔᲛᲐᲖᲔ ᲣᲐᲠᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ

შორენა მარსაგიშვილი

რას აპირებს საქართველოს ხელისუფლება

ერთი კვირის წინ, 22 თებერვალს, ცხინვალის ციხეში წამებით მოკლული არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის დაბრუნება ისევ ვერ ხერხდება. ოსურმა მხარემ გარდაცვლილის ცხედარი ექსპერტიზის ჩასატარებლად რუსეთში გადაასვენა. ოკუპირებული ცხინვალის ხელისუფლება ამბობს, რომ ცხედარს მას შემდეგ დაგვიბრუნებენ, როცა ექსპერტიზა დასრულდება.

ექსპერტიზის დასრულების სავარაუდო თარიღს ოსები ვერ ასახელებენ, რაც, ბუნებრივია, ბადებს ეჭვებს და ყველა რწმუნდება იმაში, რომ ოსები დროის გაჭიანურებას ცდილობენ.

ცხედრის გადმოსვენების გარდა, ოსები უარს ამბობენ საქართველოს ორი მოქალაქის გამოშვებაზეც. ისინი 22 თებერვალს არჩილ ტატუნაშვილთან ერთად დააკავეს. ამ თემებზე იყო საუბარი გუშინ, 1

მარტს, ერგნეთში გამართულ შეხვედრაზეც, რომელიც ქართულმა მხარემ პროტესტის

- ძალიან რთული სხდომა იყო. 1 მარტის შეხვედრაზე ორი კითხვა დაისვა ტატუნაშვილის საკითხის განხილვის კონტექსტში, როდის მოახერხებს ოჯახის ცხედრის მიღებას და როდის შეეძლება ორ მოქალაქეს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორი-



სამსაათნახევრიანი დისკუსიის შემდეგ ვერცერთ კითხვაზე მკაფიო პასუხი ვერ მივიღეთ. ამ ყველაფრის მოსმენის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ დაგვეტოვებინა სხდომა. ?ჩვენ მზად ვართ, გავაგრძელოთ ყველა სხვა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა, მაშინ როდესაც ტატუნაშვილის ცხედარი დაუბრუნდება თავის ოჯახს და იმ ორ

საქართველოს მოქალაქეს, რომლებიც იმყოფებიან ოკუპირებულ ახალგორში, მიეცემათ ტერიტორიაზე გადმოსვლის საშუალება, – განაცხადა სუსის ანალიტიკური სამსახურის უფროსის მოადგილე კახა ქემოკლიძემ.

შერიგებისა და სამოქალაქო თა-მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი ოსური მხარის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა.

ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში არჩილ ტატუნაშვილი "მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობაში ეჭვმიტანილად" არის მოხსენიებული.

მინისტრის თქმით, ყველა ბრალდება, რომლებიც არჩილ ტატუნაშვილის მიმართ ვრცელდება, სიმართლეს

– ჩვენ არაერთხელ გავაკეთეთ განცხადე-ბა, რომ ყველა ის ე.წ. ბრალდება, რომლებიც ამ პირის მიმართ იყო, სიმართლეს არ შეესაბამება, თითიდან გამონოვილი იყო. მე ვფიქრობ, ამ განცხადებაში სხვა პასაჟებიც იყო. მინდა, ხაზგასმით ვთქვა, რომ თუ გარკვეულ ძალებს აქვთ ინტერესი, ხელი შეეშალოს შერიგებისა და სამშვიდობო პოლიტიკას, ეს ვერ და არ მოხდება. ეს არ ნი შნავს იმას, რომ ჩვენ ვგეგმავთ შერიგებას რაიმე ტიპის ადამიანის უფლებების დარღვევებთან, მით უმეტეს, ადამიანის სიცოცხლის ხელყოფასთან, – განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა.

არჩილ ტატუნაშვილის ამბავს საქართველოში აკრედიტებული დიპლომატებიც ეხმაურებიან. აშშ-ის ელჩი საქართველოში, იან კელი, არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობას გამოეხმაურა. იან კელი ამბობს, რომ მომხდარის გამო პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს.

– ეს არის მართლაც საშინელი ტრაგედია ტატუნაშვილის ოჯახისთვის, მეგობრებისა და ნათესავებისთვის. თუმცა, გარდა ამისა, არის შემაძრწუნებელი სიტუაცია იმიტომ, რომ საქართველოს მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რა მოხდა იქ და გარდა ამისა, რა თქმა უნდა, უნდა დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი, რადგან ამ ტიპის ინციდენტი პირველი არ არის.

ჩვენ გავაგრძელებთ საუბარს, რომ აუცილებელია დადგეს ამ საშინელი ინციდენტის გამო პასუხისმგებლობის საკითხი. ოკუპანტ ძალას თავისი პასუხისმგებლობა გააჩნია. მე ვერ ვხედავ, რომ ვინმეს აეღო ამ საქმეში რაიმე პასუხისმგებლობა. იმედი მაქვს, ოჯახს დაუბრუნებენ ცხედარს რაც შეიძლება სწრაფად. ჩვენ ნამდვილად შეძრწუნებული ვართ ამ ფაქტით, – განაცხადა

ᲡᲐᲚᲐᲫᲔ: "ᲨᲐᲕᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲘᲡᲔᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ ᲘᲣᲡᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲦᲠᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲣᲜᲦᲐ ᲘᲧᲝᲡ"



ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე სულხან სალაძე ამბობს, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარესთან და მოსამართლე ირაკლი შავაძესთან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შეხვედრა ღია უნდა იყოს.

სულხან სალაძემ ამის შესახებ 1 მარტს "კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" ფარგლებში განაცხა-

– ეს შეხვედრა უნდა იყოს საჯარო და ამ შეხვედრაზე ორივე მხარეს უნდა მიეცეს თანაბარ პირობებში პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა რეალურად, ჩვენ უნდა გავიგოთ, რაზე ისაუბრებს იუსტიციის საბჭო, ვინაიდან ის ბრალდებები, რაზეც ბატონი შავაძე საუბრობდა, არის

სერიოზული გამოწვევა სასამართლო ხელისუფლებისთვის და ჩვენც მიგვაჩნია, რომ ეს ინფორმაცია უნდა იყოს ღია და მხოლოდ რაღაც ერთი ჯგუფის ხელში არ უნდა რჩებოდეს სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემები, – ამბობს სულხან სალაძე.

საქმე ეხება მოსამართლე ირაკლი შავაძის სკანდალურ განცხადებას იმის შესახებ, რომ მამისეიშვილი მასზე ზეწოლის მოხდენას ცდილობდა და 22 თებერვალს იმიტომ უთხრეს უარი უვადოდ დანიშვნაზე, რომ კლანის წევრი არ არის.

– ის, მამისეიშვილი, ხელს მიშლიდა მართლმსაჯულების განხორციელებაში... ხშირად აღნიშნავდა, რომ ლევან მურუსიძე იყო მისი შვილის ნათლია, იუსტიციის საბჭოს წევრები მისი მეგობრები არიან და მე შემექმნებოდა პრობლემები, – განაცხადა ირაკლი შავაძემ.

შავაძის განცხადებების შემდეგ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 10-მა მოსამართლემ განცხადება გაავრცელა, სადაც ირაკლი შავაძის მიერ საჯაროდ გაკეთებულ განცხადებებს სიცრუე უწოდეს და სრული შემადგენლობით მხარდაჭერა გამოუცხადეს სასამართლოს თავმჯდომარეს –

იუსტიციის საბჭოს 26 თებერვლის სხდომაზე არამოსამართლე წევრმა ნაზი ჯანეზაშვილმა დააყენა საკითხი, რომ საბჭო ორივე მათგანს შეხვედროდა და მათი პოზიციები მოესმინა. საბჭომ

ჯანეზაშვილის წინადადება გაიზიარა და შეხვედრა დღეს დაინიშნა.
ლია იქნება თუ არა საბჭოს ორი მარტის სხდომა, ამ ეტაპზე უცნობია. საბჭოს პრესსამსახურის განცხადებით, ორივე მხარის არგუმენტებს მოისმენენ და სხდომის დახურვისა თუ გახსნის საკითხი ამის შემდეგ გადაწყდება

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲖᲝᲘᲫᲔ: "ᲯᲐᲜᲦᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲒᲔᲛᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ **ჅႮჅჅჅႮ ჅႮჅჇჇჅႮჅႮ ჅႮჅჇႮჇჇႮ**ჼ

– ჯანდაცვის სისტემაში ყველაზე დიდი ჩავარდნა არის პირველადი ჯანდაცვა – პროგრამები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ამის შესახებ პარლამენტის ჯანდაცვის

კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძემ კომიტეტის სხდომაზე განაცხადა.

კომიტეტმა თბილისის ჯანდაცვისა და სოციალურ მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსს გელა ჩივიაშვილს მოუსმინა, რომელმაც დეპუტატებს მიმდინარე წლის პროგრამების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.



– პირველადი ჯანდაცვა თავიდან ბოლომდე ჩავარდნილია. მსოფლიოში არ არის განვითარებული ქვეყანა, სადაც პირველად ჯანდაცვაზე მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლება ზრუნავს. ადამიანთან უფრო ახლოს არის მუნიციპალური ხელისუფლება, ვიდრე ცენტრალური ხელისუფლება. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია იყოს კარგი კოორდინაცია. საჭიროა ერთობლივი მუშაობა პირველადი ჯანდაცვის კარგი მიმართულებით ჩამოყალიბებაზე და შედეგზე ორიენტირე-ბული დაფინანსება, – განაცხადა აკაკი ზოიძემ.

%Ა%Ა ᲒᲐᲑᲣᲜᲘᲐ ᲜᲘᲙᲐ ᲛᲔᲚᲘᲐᲡ: "ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲨᲘ **ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲑᲘᲜᲝᲙᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ**"

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა გაბუნიას განცხადებით, ბორჯომში მიმდინარე პროცესებში ყველა კონსტიტუციური ორგანო იყო ჩართული და მათი, განსაკუთრებით კი სამართალდამცავი უწყებების მიზანი იყო, რომ ად-გილზე მიმდინარე პროცესებს, უმართავი სახე არ

გაბუნიამ ბორჯომში მიმდინარე პროცესებზე ოპოზიციის განცხადებებს კომიტეტის სხდომაზევე უპასუხა და აღნიშნა, რომ ბორჯომში მიმდინარე მოვლენებზე დისკუსიის საკითხის დაყენებით, ოპოზიციამ პარლამენტის რეგლამენტი დაარღვია.

— კომიტეტის სხდომა მოიწვევა ერთი <u>კვ</u>ირით ადრე, მაგრამ, ამავდროულად, პარლამენტის ნებისმიერ წევრს აქვს უფლებამოსილება, რომ წერილობით მიმართოს კომიტეტს, თუკი მას რაიმე ახალი საკითხის შემოტანა სურს დღის წესრიგში რეგლამენტის დაცვით. ამიტომ ვერც ერთ შენიშვნას ვერ მივიღებთ იმაზე, რომ კომი-



ტეტი არ ფიქრობს მნიშვნელოვან საკითხებზე, არ საუბრობს და განცხადებებს არ აკეთებს. თქვენ ამ საკითხის დღის წესრიგში შეტანის ლეგიტიმური უფლება გქონდათ და არ გამოიყენეთ.

ახლა ჩვენ ვხედავთ, განსაკუთრებით თქვენი ფლანგიდან ბატონო ნიკა, რეგლამენტის დარღვევას. აქ იქნა აღწერილი გუშინდელი მოვლენები და სამწუხაროდ, ეს მოვლენები, თქვენს აღწერილობაში არის ცალმხრივი და თქვენი ბინოკლიდან დანახული. ყველა უწყება ჩართული იყო ამ პროცესში, რომელთა მიზანი და განსაკუთრებით სამართალდამცავი უწყებების მიზანი იყო იქ მიმდინარე პროცესებს არ მიეღო უმართავი სახე. ის, რომ საქმე აღძრულია, ამას ნიშნავს სწორედ, – მიმართა გაბუნიამ ოპოზიციონერ დეპუტაგ ნიკა მელიას და აღნიშნა, რომ ბორჯომის საკრებულოში დაპირისპირება გუშინ ნიკა მელიას და სერგო რატიანის ჩასვლას მოჰყვა, რამაც საფუძველი დაუდო ესკალაციას.

გაბუნიას სწორედ აღნიშნული განცხადების შემდეგ მოხდა პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტზე "ნაციონალური მოძრაობის" წევრ ნიკა მელიასა და კომიტეტის თავმჯდომარეს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. ნიკა მელიამ ზაზა გაბუნიას უნამუსო უწოდა.

ᲒᲧᲔᲛᲐᲚᲐᲫᲔ, ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ ᲐᲠ Მ**Ი**ᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲓᲐᲘᲡᲯᲔᲑᲐ?"

იგივე რომ გავაკეთოთ თბილისში ოპოზიციონერი დეპუტატების მონაწილეობით – თბილისის საკრებულოში რომ ვცემოთ "ქართული ოცნების დეპუტატები, გამოვკეტოთ თავმჯდომარე ტყემალაძე კაბინეტში, იქ პოლიცია არ მივიდოდა და არავინ დაისჯებოდა? – ასე მიმართა ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა ნიკა მელიამ პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე უმრავ-

ლესობის დეპუტატებს. ბორჯომის მოვლენების შეფასებისას

მელიამ აღნიშნა, რომ ბორჯომის საკრებულოში პოლიცია 10 საათის განმავლობაში არ მისულა, დაძაბული ვითარებისა და ფიზიკური დაპირისპირების მიუხედავად.

– რაც ვიხილეთ ბორჯომში, ეს არის ყოვლად წარმოუდგენელი. მეც კი არ მჯეროდა, რომ ეს შეგეძლოთ გაგეკეთებინათ იქ. ერთადერთი თვითმმართველობა, სადაც თქვენ ვერ მოიპოვეთ უმრავლესობა, ეს არის ბორჯომის თვითმმართველობა. გუშინ "ქართული ოცნების" დეპუტატები, დაახლოებით 700 აქტივისტთან ერთად გამოცხადდნენ საკრებულოს შენობაში, დაარბიეს შენობა, ფიზიკურად გაუსწორდნენ საკრებულოს წევრს, ამის

შემდეგ მოხდა საკრებულოს წევრების ოთახებში გამომწყვდევა და ამის შემდეგ მე, პარლამენტის დეპუტატი ჩავედი ბორჯომში, თუმცა კარგი იქნებოდა, არა მხოლოდ მე ჩავსულიყავი იქ.

ყველაზე შემაშფოთებელი მოცემულობა იყო, როდესაც პოლიციის თანამშრომელი 10 საათის განმავლობაში შენობაში არ იყო. ახლა

წარმოვიდგინოთ მოცემულობა – რაც მოხდა ბორჯომში, იგივე რომ გავაკეთოთ თბილისში, ოპოზიციონერი დეპუტატების მონაწილეობით, თბილისის საკრებულოში რომ მივიდეთ ახლა ყველანი, მივიყვანოთ 500-600 ადამიანი, ვცემოთ "ქართული ოცნების" დეპუტატები, გამოვკეტოთ თავმჯდომარე ტყემალაძე კაბინეტში, – განაცხადა მელიამ და აღნიშნა, რომ "ქართული ოცნების" პოლიტიკას შერჩევითი მიდგომა აქვს.

– ეს არის შერჩევითი! დაადასტურეთ, რომ შერჩევითი მიდგომა აქვს თქვენს პოლიტიკას. ზუსტად ეს გააკეთეს გუშინ. სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა თქვენი აქტივის დიდმა რიგმა, – აღნიშნა



ევროპული საქართველოს ინიციატივა – ოთხოზორია-ტატუნაშვილის სია" საქართველოს მოქალაქეების მკვლელობაში ბრალდებულთათვის, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

საქართველოს პარლამენტის რეზოლუციის პროექტი

რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო რეჟიმის პირობებში საქართველოს მოქალაქეების გა-ტაცებასა და მკვლელობაში ეჭვმიტანილ პირთა ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში" შეყვანისა და მათი სანქცირების შესახებ

ვინაიდან რუსეთის ფედერაციისა და ცხინვალის და სოხუმის საოკუპაციო რეჟიმების მიერ რეგულარულად ხდება საქართველოს მოქალაქეთა გატაცება, მათ შორის, არაოკუპირებული ტერიტორიებიდან, მათთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა და მკვლელობა;

ვინაიდან რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო რეჟიმის მიერ ხდება საქართველოს მოქალაქეთა გატაცებისა და მკვლელობის წახალისება, როგორც საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლების, ისე ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში/ სამხრეთ ოსეთში მოქმედი კრიმინალების მიერ;

ვინაიდან რუსეთის ფედერაცია, როგორც ოკუპირებულ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ეფექტური კონტროლის განმახორციელებელი და არსებულ ვითარებაზე პასუხისმგებელი, ชาตน งซูงคำอัน เอง งซูาค์ชาอัน นงปุงค์ตรูาตาน อีกปุงლაქეთა გატაცებასა და მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირების სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას;

ვინაიდან საქართველო ვერ ახორციელებს გატაცებასა და მკვლელობაში ეჭვმიტანილ პირთა სამართლებრივ დევნას ოკუპირებულ ტერიტორიებზე;

ვინაიდან საქართველო არის სამართლებრივი სახელმწიფო, რომლისთვისაც მისი თითოეული მოქალაქის სიცოცხლისა და თავისუფლების უფლება არის უზენაესი;

ვინაიდან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება და საოკუპაციო რეჟიმი შეუძლებელს ხდის აღსრულებულ იქნას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება 2016 წლის 19 მაისს აფხაზეთის საოკუპაციო ხაზთან მოკლული საქართველოს მოქალაქის, გიგა ოთხოზორიას მკვლელის, რაშიდ კანჯიოღლის დაპატიმრებასა და პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებით;

ვინაიდან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება და საოკუპაციო რეჟიმი შეუძლებელს ხდის პასუხისგებაში იქნას მიცემული 2018 წლის 21 თებერვალს ცხინვალში მოკლული საქართველოს მოქალაქის არჩილ ტატუნაშვილის მკვლელე-

ვინაიდან საქართველოს მოქალაქეთა შემდგომი გატაცებისა და სიცოცხლის მოსპობის თავიდან აცილებისათვის მნი შვნელოვანია, რომ საოკუპაციო რეჟიმის თითოეული წარმომადგენლისათვის ცხადი იყოს, რომ საქართველოს სახელმწიფო არასდროს შეეგუება მისი მოქალაქეების სიცოცხლისა და თავისუფლების დარღვევას და გააკეთებს ყველაფერს დამნაშავეთა და მათი მფარველების დასასჯელად, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი.

საქართველოს პარლამენტი გმობს:

რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო რეჟიმისა და მისი ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი სტრუქტურების მიერ საქართველოს მოქალაქეთა გატაცებასა და სიცოცხლის მოსპობას;

რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მოქალაქეთა გატაცებასა და მკვლელობაში ეჭვმიტანილ და მსჯავრდებულ პირთა სამართლებრივი დევნისთვის ხელის შეშლას;

საქართველოს მოქალაქის, 2016 წლის 19 მაისს მოკლული გიგა ოთხოზორიას მკვლელის, რაშიდ კანჯი-ოღლის მიმართ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხებას;

საქართველოს მოქალაქის, 2018 წლის 21 თებერვალს ცხინვალში მოკლული არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობას;

რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო რეჟი-



მისა და მისი ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი სტრუქტურების მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ფუნდამენტურ დარ-

რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო რეჟიმის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების, განსაკუთრებით კი, ევროკავშირის შუა-მავლობით მიღწეული 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შეუსრულებლობას;

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა უხეშ დარღვევებს, რაც დოკუმენტირებულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კვარტალურ ანგარიშში ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების შესახებ და მრავალი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებულ ანგარიშში.

საქართველოს პარლამენტი მოუწოდებს საქართველოს მთავრობას:

შეადგინოს და გამოაქვეყნოს რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო რეჟიმისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებების წარმომადგენელთა ან/და მათ მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების მაცხოვრებელთა მიერ საქართველოს მოქალაქეთა გატაცებაში, მათთვის ჯანმრთელობის მძიმე და-ზიანებაში, წამებასა და სიცოცხლის მოსპობაში

ეჭვმიტანილი და მსჯავრდებული, აღ-ნიშნული დანაშაულების ხელშემწყობი და დანაშაულების დაფარვაში შემჩნეული პირების სია, რომელსაც ენოდება "ოთხოზორია-ტატუნაშვილის სია."

ზემოაღნიშნული "ოთხოზორია-ტატუნაშვილის სია" შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს პარლამენტის 2018 წლის საგაზაფხულო სესიის დასრულე-

გამოიძიოს საქართველოს თითოეული მოქალაქის გატაცებაში, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში, წამებასა და სიცოცხლის მოსპობაში ეჭვმიტანილი პირების საქმეები და დამდგარი სამართლებრივი შედეგის შესახებ უსწრაფესად ეცნობოს საერთაშორისო პარტნიორებს;

დააყადაღოს "ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში" შეყვანილ პირთა ის ქონება, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს მთავრობისათვის. ამასთან, ეთხოვოთ შესაბამის საერთაშორისო ინსტიტუტებსა და პარტნიორ სახელმწიფოებს, რათა აღნიშნულ პირებს არ მიეცეთ ქონების გადაადგილების თუ შეძენის და ფინანსური ტრანზაქციების განხორციელების საშუალება მათ ტერიტორიებზე/მათ მიერ კონტროლირებად სივრცეებში;

სთხოვოს საქართველოს პარტნიორებს, მოახდინონ "ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში" შეყვანილი პირებისთვის სავიზო შეზღუდვების

აუკრძალოს "ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში" მოხვედრილ პირებს საქართველოს მთავრობის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების მაცხოვრებელთათვის დაწესებული შეღავათებით და უფასო სახელმწიფო სერვისებით სარგებლობა;

განსაზღვროს "ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში" შეყვანილ პირთა მიმართ წინამდებარე რეზოლუციით განსაზღვრული პირობების აღსრულებაზე პასუხისმგებელი უწყება/უწყებე-

საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს ამ რეზოლუციის შესრულების ანგარიში წელინადში მინიმუმ ორჯერ.

ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲮᲐᲜᲫᲠᲘᲗ ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚ ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲔᲑᲡ **ᲒᲐᲜᲐᲦᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲡ ᲩᲐᲛᲝᲣᲜᲔᲠᲡ**

შემოსავლების სამსახური მზად არის, ხანძრით დაზარალებულ მეწარმეებს განადგურებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობები ჩამოუწეროს, – განაცხადა შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის უფროსი მოადგილე ლევან დგებუაძემ.



დგებუაძე ამბობს, რომ მოვაჭრეებს აღარ წარმოეშვებათ ახალი ან დამატებითი საგადასახადო ვალდებულება.

– ჩვენ ბაზრობის ადმინისტრაციასთან ერთად გვაქვს მჭიდრო თანამშრომლობა და ამ სიების იდენტიფიკაციას ვახდენთ. სიების იდენ-

ტიფიკაციისთანავე ჩვენ მათთან ინდივიდუალურად მოვახდენთ დადგენას განადგურებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ოდენობას. შემდგომში უკვე მოხდება განადგურებული საქონლის ჩამოწერა, – განაცხადა დგებუ-

მისი თქმით, იმ მეწარმეებს ვისაც საგადასახადო დავალიანება ერიცხებათ და საქონელი ხანძრის გამო გაუნადგურდათ, მათ მიმართ იძულებითი ღონისძიებები შეჩერდება და ქონება არ დაუყადაღდებათ.

ᲠᲐ **Ი**ᲪᲕᲚᲔᲑᲐ "ᲡᲘᲗᲘ ᲞᲐᲠᲙᲘᲡ" ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕ**Ი**Ს

კომპანია "სითი პარკის" ვებგვერდზე საჯარიმო ქვითრის შესახებ ინფორმაციის მისაღებად დამატებითი მონაცემების მითითება დაგჭირდებათ.

ამის შესახებ ინფორმაცია კომპანიის გვერდზე ვრცელ



– ვებგვერდზე განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, საჯარიმო ქვითრის შესახებ ინფორმაციის მისაღებად შემდეგი მონაცემების მითითება დაგჭირდებათ:

ავტომანქანის სახელმწიფო ნომერი და საჯარიშო ქვითრის ნომერი ან პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი.

ვებგვერდზე შეგიძლიათ შეამოწმოთ და გადაიხადოთ თქვენს ავტომანქანაზე ბოლო **36** თვის განმავლობაში შედგენილი და გადაუხდელი, ასევე აქტიური საჯარიმო ქვითრები, რომლებზეც მიმდინარეობს საქმის წარმოება.

გადახდილი საჯარიმო ქვითრის შესახებ ინფორმაცია ვებგვერდზე განთავსებული იქნება გადახდიდან 30 დღის განმავლობაში, – ნათქვამია კომპანიის განცხადებაში.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲒᲐᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲒᲗᲐᲜ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ "ᲐᲙᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ" **ᲒᲠᲔᲜᲦᲘᲡ ᲡᲐᲡᲒᲣᲛᲠᲝ ᲐᲐᲨᲔᲜᲝᲡ**

თამაზ გაიაშვილმა თბილისის აეროპორტთან შესაძლოა "აკორ ჯგუფის" ბრენდის სასტუმრო ააშენოს.

ამის შესახებ "კომერსანტს" ბიზნესმენმა განუცხადა. მისი ინფორმაციით, ფრანგულ ჯგუფთან მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია. საუბარია 120დან 160 წომრამდე სასტუმროზე, რომე-

ლიც 4-ვარსკვლავიანი იქნება. მისივე ინფორმაციით, მიმდინარეობს არქიტექტურული და საინჟინრო პროექტის მომზადება. მერიაში მშენებლობის ნებართვისთვის განაცხადის შეტანა კი მარტის ბოლოსთვის იგეგმება.

გაიაშვილის ინფორმაციით, ასევე მიმდინარეობს სახელმწიფოსგან მიწის გამოყოფის პროცედურა. სასტუმროს მშენებლობა უახლოეს მომავალში დაიწყება

და წელიწადნახევარში დასრულდება.

ხისმგებლობა, ანუ თუ

არაქართული ნომრი-

ანი მანქანა გამოიწვევს

რაიმე სახის ზარალს,

ამ ზარალს საქართვე-

რაც შეეხება ინვესტიციას, გაიაშვილის განცხადებით, პროექტში 10 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდება. მისივე განმარტებით, განიხილება პარტნიორობა საპარტნიორო ან თანაინვესტირების ფონდთან. ფრანგული "აკორ ჯგუფი მსოფლიოში ცნობილი სასტუმროებისა და

რესტორნების ოპერატორ ისეთ ბრენდებს აერთიანებს, როგორებიცაა, "სოფიტელი", "ნოვოტელი", "გრანდ მერკური", "იბისი". საქართველოში "აკორ ჯგუფი" უკვე ფლობს რამდენიმე სასტუმროს, მათ შორის, 4-ვარსკვლავიან სასტუმრო "მერკურის" თბილისში, რომელიც 2015 წელს გაიხსნა.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲠᲔᲒᲘᲡᲒᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲕᲒᲝᲒᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲒᲘ ᲓᲦᲔᲘᲓᲐᲜ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲝᲡ

როგორც კომერსანტს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურიდან აცნობეს, დღეიდან უკვე ძალაშია კანონის ნორმა, რომლის თანახმადაც, უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალება/მფლობელი/მძღოლი/ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას ვალდებული ხდება, დააზღვიოს სამოქალაქო პასუხისმგებლობა მის მფლობელობაში/მართვის ქვეშ მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საქართველოს ტერიტორიაზე მისი ყოფნის სრული პერი-


სამსახურის უფროსის კონსტანტინე სულამანიძის თქმით, ეს არის მნი შვნელოვანი ნაბიჯი საქართველოში სადაზღვევო ინდუსტრიის განვითარების მიმართულებით და ამ ნაბიჯს უახლოეს მომავალში კიდევ მოჰყვება სხვა კონკრეტული ქმედებები, რაც ჯამში დაზღვევის, როგორც სოციალური ინსტრუმენტის ეფექტიანად ამოქმედებას შეუწყობს ხელს.

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მთავარი ამოცანა ქვეყანაში სადაზღვევო კულტურის ამაღლება, სადაზღვევო

ბაზრის ზრდა, მისი ფი ნანსური მდგრადობის უზრუნველყოფა და დაზღვევის, როგორც სოციალური სიკეთის მომხმარებლებამდე მიტანის ხელშეწყობაა.



კიდევ უფრო გასაგებად რომ აიხსნას, 1 მარტიდან უცხო ქვეყნებში რეგისტრირებული მანქანები, საქართველოში შემოსვლისთანავე ვალდებულნი იქნებიან დააზღვიონ საკუთარი პასუ-



ლოს მოქალაქეებს აუნაზღაურებს სავალდებულო დაზღვევის ცენტრი, სადაზღვევო კომპანიების მიერ შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც იქნება მოდერატორი სადაზღვევო შემთხვევებისას და დაარეგულირებს ზარალს, – აღნიშნა სულამანიძემ.

როგორც დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში განმარტავენ კანონის შემუშავების პროცესში აქტიურად მიმდინარეობდა კონსულტაციები შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან. შესაბამისად, ერთობლივად შეიქმნა პროცედურა, რომლის თანახმადაც სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე სავალდებულო დაზღვევის პოლისის შესაძენად რიგების შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოირიცხა. კერძოდ, სადაზღვევო პაკეტების შეძენა შესაძლებელია უშუ-

ალოდ საზღვრის მიმდებარედ განთავსებულ სავალდებულო დაზღვევის ცენტრის ფილიალებში (სარფი, წითელი ხიდი, ყაზბეგი, სადახლო), ასევე სხვა დანარჩენ საზღვრებთან შემდეგ გაყიდვის წერტილებში: ბანკებში, სწრაფი გადახდის აპარატებში, ვებგვერდზე www.tpl.ge. ამასთანავე, უკვე მოქმედებს ცენტრის ცხელი ხაზი ნომერზე 2

აღსანიშნია, რომ საზღვრის გადმოლახვისთანავე მესაზღვრის მიერ ხდება უცხო ქვეყა-ნაში რეგისტრირებული ტრანსპორტის მძღოლის ინფორმირება (სიტყვიერად, სამენოვანი ნაბეჭდი პროდუქციის გადაცემით) ქვეყანაში მესამე პირის მიმართ სავალდებულო დაზღვევის მოქმედების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ტრანსპორტი უგულებელყოფს ამ მოთხოვნას, ის დაექვემდებარება საჯარიმო სანქციას 100-დან 200 ლარამდე მოცულობით. დაჯარიმება შეუძლია საპატრულო პოლიციასაც თუკი მოძრაობის წესების დამრღვევ უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ ავტომობილს არ აღმოაჩნდება სავალდებულო დაზღვევის პოლისი.

კომერსანტი



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ 230 ᲐᲗᲐᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ ᲗᲕᲔᲨᲘ 100 ᲚᲐᲠᲖᲔ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ

ვიცით, რომ ჯერ კიდევ ღარიბები ვართ, მაგრამ, რამდენად ღარიბები?

გაბულამ შემოსავლების სამსახურიდან გამოითხოვა სტატისტიკა იმის შესახებ, თუ რა არის მოსახლეობის შემოსავლები, ასევე რამდენ ადამიანს აქვს წელიწადში თუნდაც 1 ლარის შემოსავალი. სახელმწიფოს მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ ქვეყანაში დეკლარირებული შემოსავალი მხოლოდ 1.18 მილიონ ადამიანს აქვს, მათი 20%-ის შემოსავალი კი თვეში 100 ლარზე ნაკლებია. მოკრძალებულია მათი რაოდენობა, ვისაც 5.000 ლარზე მეტი ყოველთვიური შემოსავალი აქვს და ის მოსახლეობის 0.62%-ს შეადგენს. წელიწადში 100.000 ლარზე (თვეში 8.333 ლარი) მეტი შემოსავალი კი მოსახლეობის მხოლოდ 0.25%-ს აქვს.

რამდენად დიდია არაფორმალური სექტორის წილი ქვეყნის ეკონომიკაში

საქართველოში ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, დასაქმებულად ითვლება 1.76 მილიონი ადამიანი (2016) წელი, ამავე წელს შემოსავლების სამსახურიდან მიღებული სტატისტიკით შემოსავალი მხოლოდ 1.18 მილიონს აქვს. შესაბამისად ნახევარ მილიონზე მეტ ადამიანს, ვისაც საქსტატი დასაქმებულად თვლის წლის განმავლობაში არცერთი თეთრის შემოსავალი არ აქვს.

ისინი, ვისაც სტატისტიკა დასაქმებულად თვლის, რეალურად კი ოფიციალური შემოსავალი არ აქვთ თვითდასაქმებულები არიან. საქსტატის მონაცემებით, საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობა 1.76 მილიონია, საიდანაც 1.015 მილიონი თვითდასაქმებულია, 747 ათასი კი — დაქირავებით დასაქმებული. თვითდასაქმებულებს შორის დაახლოებით 80% სოფლად მცხოვრები შრომისუნარიანი მოსახლეობაა, რომლებსაც სტატისტიკა დასაქმებულებად მხოლოდ იმიტომ თვლის, რომ ისინი საკუთარ ნაკვეთებში მოსავლის მიღების მიზნით მუშაობენ. მათ შესაძლოა ნატურის (მოყვანილი პროდუქციის) გარდა


არანაირი ფინანსური შემოსავალი არ ჰქონდეთ, მაგრამ ისინი მაინც დასაქმებულებად ითვლებიან.

შემოსავლების სამსახურისგან მიღებული სტატისტიკის მიხედვით, ირკვევა, რომ ქვეყანაში არაფორმალური სექტორის შემცირება დაბალი ტემპით ხდება. 2009-2012 წლებში მათი რაოდენობა ვისაც შემოსავალი აქვს 760 ათასიდან 1.1 მილიონამდე გაიზარდა, 2012-2017 წლებში კი არაფორმალური სექტორის შემცირების ტემპი ბევრად დაეცა, მეტიც 2015 წელს ჩავარდნაც კი მოხდა, როდესაც დეკლარირებული შემოსავლების მქონე პირთა რაოდენობა 20 ათასით შემცირდა.

რა არის მოსახლეობის საშუალო შემოსავალი

შემოსავლების სამსახურისგან გამოთხოვილი სტატისტი-კური ინფორმაცია მოიცავს მოსახლეობის განაწილებას მათი შემოსავლების მიხედვით. სტატისტიკის მიხედვით, 2017 წელს საქართველოს 230 ათას მოქალაქეს აქვს თვეში 100 ლარზე ნაკლები შემოსავალი. 100-200 ლარი 125 ათას მოქალაქეს აქვს. რაც შეეხება ყველაზე მაღალ შემოსავალს – 100.000 ლარზე მეტი (ანუ თვეში 8.333 ლარი) მხოლოდ 9.6 ათას მოქალაქეს, ანუ მთლიანი მოსახლეობის 0.25%-ს აქვს.

სტატისტიკა აჩვენებს იმასაც, რომ საქართველოში საშუალო ფენა თითქმის არ არსებობს. თუ საქართველოს მაჩვენებელს შევადარებთ განვითარებული ქვეყნის ანალოგიურ სტატისტიკას დავინახავთ, რომ იქ ყველაზე დიდი საშემოსავლო ჯგუფი არა უღარიბესი ჯგუფი, არამედ საშუალო ფენაა. შემოსავლების ასეთი განაწილება უფრო მეტად განვითარებადი ღარიბი ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი.



როგორ შეიცვალა მოსახლეობის შემოსავლები 2009-2017 წლებში

2009 წლიდან დღემდე მოსახლეობის შემოსავლების გადანაწილებაში დადებითი ტენდენციები შეიმჩნევა. პირველ რიგში მნიშვნელოვანია გარემოება რომ გაზრდილია მათი რაოდენობა, ვინც დეკლარირებულ შემოსავალს იღებს. ამავდროულად, ჩანს, რომ ყველაზე დაბალი შემოსავლების ჯგუფიდან მოსახლეობის გადანაცვლება მოხდა შედარებით მაღალ (600-800 ლარის) საშემოსავლო ჯგუფებში. ასეთივე წანაცვლება შეიმჩნევა უფრო მაღალ საშემოსავლო ჯგუფებშიც.

<u>ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝᲔᲑᲘᲡ 10 ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ ᲡᲐᲞᲔᲜᲡᲘᲝ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐᲖᲔ</u>

მიმდინარე დღეებში საქართველოს პარლამენტი "დაგროვებითი პენსიის შესახებ" კანონპროექტს იხილავს, რომლის თანახმად, 2018 წლის პირველი ივლისიდან საქართველოში დაგროვებითი საპენსიო სისტემა ამოქმედდება.

40 წლამდე დაქირავებით დასაქმებული საქართველოს მოქალაქეებისთვის საპენსიო სქემაში ჩართვა სავალდებულო იქნება,
რაც იმას ნი შნავს, რომ ხელფასის 2% საპენსიო შენატანში უნდა მიმართონ. ამასთან,
დამსაქმებელი ვალდებული იქნება, დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადარიცხოს დასაქმებულის ხელფასის
2%.

გარდა ამისა, სახელმწიფო ვალდებული იქნება დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადარიცხოს ხელფასის 2% ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის იმ მოცულობაზე, რომელიც არ აღემატება 24 000 ლარს წელიწადში, ხოლო ხელფასის 1% ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის 24 000-დან 60 000 ლარამდე მოცულობაზე.

40 და მეტი წლის ასაკის მოქალაქეებისათვის, ასევე თვითდასაქმებულებისათვის, დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართვა ნებაყოფლობითი იქნება.

საპენსიო სქემის განხორციელებაზე და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი სსიპ "საპენსიო სააგენტო" იქნება. საპენსიო აქტივების ინვესტირებაზე პასუხისმგებელი საინვესტიციო საბჭო იქნება, რომლის გადაწყვეტილებით საპენსიო აქტივები სხვადასხვა დონის რისკიანობის ფინანსურ აქტივებში (დეპოზიტები, ობლიგაციები, აქციები და ა.შ.) განთავსდება.

საპენსიო რეფორმაზე საკუთარი შენიშვნები აქვთ არასამთაგრობოებს:

"ქართული ოცნების" 2016 წლის საარჩევნო პროგრამაში (გვ. 16) და 2018-2020 წლების სამთავრობო პროგრამაში (გვ. 19) წერია, რომ "ფართოდ დაინერგება რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) ინსტრუმენტი, რაც მოგვცემს საშუალებას, თითოეული გადაწყვეტილების გავლენა ბიზნესზე იყოს წინასწარ გაანალიზებული". რეგულირების გავლენის შეფასების გამოყენე-ช้วน กดชัการูน์ กูรูศ์การูงรู ฮึกศ์ดางชี วนการูกศ์กูชักน์ ฮีกูดางชีხმებაც (მუხლი 225). მიუხედავად ამისა, საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებული კანონპროექტი ისე შევიდა პარლამენტში, რომ რეგულირების გავლენის შეფასება არ ჩატარებულა. ეს იმ ფონბე, როდესაც რეფორმა გარკვეული რისკების მატარებელია. შესაბამისად, არ არის ნათელი, თუ რა სარგებელს მოუტანს ქვეყანას სავალდებულო

ხელისუფლება ზოგადად ამბობს, რომ შემოთავაზებული საპენსიო სისტემა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ეფუძნება, თუმცა მნიშვნელოვანია დაასახელოს ერთი კონკრეტული ქვეყანა მაინც, რომლის გამოცდილებასთანაც ყველაზე ახლოს იქნება საქართველოს საპენსიო მოდელი. ამ დროს, გასათვალისწინებელია, რომ

დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა და

რატომ არის ის უალტერნატივო.



ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაშიც კი სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემა არცთუ ისე წარმატებული აღმოჩნდა (მაგალითად, უნგრეთი, პოლონეთი).

დამსაქმებელთა დავალდებულება, სავალდებულო წესით საპენსიო ფონდში მიმართოს 40 წლამდე დასაქმებულების შრომის ანაზღაურების 2%, ფაქტობრივად გადასახადის ხასიათს ატარებს და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, რომლის მიხედვითაც აქციზის გარდა ნებისმიერი ახალი გადასახადის შემოღება რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვს.

შემოთავაზებული ინიციატივა ვერ უზრუნველყოფს ე.წ. "ღირსეულ პენსიას", რადგან
სამუშაო ასაკის მქონე მოსახლეობის მხოლოდ
25% არის დაქირავებით დასაქმებული, 34%
თვითდასაქმებულია, ხოლო 41% უმუშევარია ან
სამუშაო ძალაში არ შედის. გასათვალისწინებელია, ისიც, რომ დასაქმებულთა 58.4% 40 და
მეტი ასაკის ადამიანებია, რომლებზეც საპენსიო
სქემაში ჩართვის ვალდებულება არ ვრცელდება.
შედეგად, გამოდის, რომ სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემა სამუშაო ასაკის მქონე
მოსახლეობის მხოლოდ 10.5%-ზე გავრცელდება.

"ღირსეულ პენსიის" აღების საშუალებას არ იძლევა არსებული დაბალი ხელფასები. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასი თვეში დაახლოებით 1000 ლარია. რაც ნიშნავს, რომ მომავალი 25 წლის განმავლობაში, თუ დავუშვებთ რეალური ხელფასის ყოველწლიურად 5%ით ზრდას და რეალურ 5%-იან საინვესტიციო შემოსავალს, პენსიაზე გასვლის შემდეგ, დაგროვილი თანხიდან ყოველთვიური პენსია (15 წელზე) 210 ლარი იქნება. მთავრობის განცხადებით, დღევანდელი პენსია (180 ლარი) მინიმუმ დღევანდელი ღირებულებით შენარჩუნდება. გამოდის, რომ 25 წლის შემდეგ საშუალო პენსია იქნება 390 ლარი თვეში, რაც, საკმაოდ ოპტიმისტურ სცენარში, 25 წლის საშუალო ხელფასის 20%-იან, ხოლო ბოლო ხელფასის 12%-იან ჩანაცვლების დონეს უზრუნველყოფს. დღეს ჩანაცვლების საშუალო კოეფიციენტი 18%-ია. ასევე, დღეს რეალობაა, რომ დასაქმებულთა ნახევარზე მეტს ხელფასი თვეში 500 ლარი და ნაკლები აქვს. მათ, ხემოთ მოცემული დაშვებებით, 25 წლის შემდეგ პენსია თვეში 306 ლარი ექნებათ, რაც საშუალო ხელფასის 25.5%-ია, ხოლო ბოლო ხელფასის

15%-იან ჩანაცვლების დონეს უზრუნველყოფს. ამჟამად, ჩანაცვლების კოეფიციენტი არის 30%.

შემოთავაზებული საპენსიო სისტემით, სახელმწიფო მოსახლეობაში სოციალურ უთანასწორობის ზრდას უწყობს ხელს. მომავალში სახელმწიფო დასაქმებულ და მაღალშემოსავლიან მოქალაქეებს თანხობრივად უფრო მეტ კონტრიბუციას გაუკეთებს პენსიაში, ვიდრე უმუშევრებს და დაბალშემოსავლიან მოსახლეობას. შესაბამისად, სხვა თანაბარ პირობებში, საპენსიო ასაკის მოსახლეობაში სოციალური უთანასწორობა გაიზრდება.

იზრდება საგადასახადო ტვირთი დასაქმებაზე (ფაქტობრივად, ხელფასიდან გადასახადი 20%-დან 23.2%-მდე იზრდება), რაც გააძვირებს სამუშაო ძალას და უარყოფითად იმოქმედებს დასაქმებაზე. შესაბამისად, ამ ნაწილში ბიზნესგარემო გაუარესდება.

შემოთავაზებულმა საპენსიო სისტემამ შეიძლება გამოიწვიოს არაფორმალური შრომითი გარიგებების დადება და ჩრდილოვანი ეკონომიკის წახალისება.

სახელმწიფო ბიუჯეტს ემატება მნიშვნელოვანი ტვირთი (1-2%-იანი კონტრიბუცია საპენსიო სქემაში). ეს იმ ფონზე, როდესაც ბიუჯეტში ნარჩუნდება დღევანდელი საპენსიო ხარჯები
და რომლის 20-30 წლის განმავლობაში მხოლოდ დაბალი ტემპით ზრდა (მსყიდველობითი
უნარით თვიური პენსიის 180 ლარზე შენარჩუნება), დღევანდელი სოციალური ფონის და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, რეალურად შეუძლებლად მიგვაჩნია. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, დაგროვებითი საპენსიო სისტემით ფისკალური რისკების
შემცირება სოციალური პენსიის ზრდის შენელებით ხდებოდა, რისი მზადყოფნის დეკლარირებაც მთავრობის მხრიდან არ მომხდარა.

სავალდებულო დაგროვებით საპენსიო სისტემაზე პოლიტიკურ ძალებსა და საზოგადოებას შორის კონსენსუსი არ არის.

რეკომენდაციები:

1. პარლამენტმა არ მიიღოს კანონი, სანამ რეგულირების გავლენის შეფასების (ღla) კვლევა არ ჩატარდება. კვლევა უნდა მოიცავდეს სხვადასხვა ალტერნატიულ სცენარებს, სადაც ნაჩვენები იქნება, რა ნაკლოვანებები და უპირატესობები აქვს დღეს არსებულ და შემოთავაზებულ მოდელებს. შესწავლილი უნდა იყოს დაგროვებითი პენსიის სავალდებულო და არასავალდებულო მოდელების სხვადასხვა ვარიანტებიც.

2. რომ არ მოხდეს სამუშაო ძალის გაძვირება, უმუშევრობის წახალისება და დღეს არსებული განკარგვადი შემოსავლების შემცირება, საპენსიო შენატანის განხორციელება უნდა დაკომპენსირდეს საშემოსავლო გადასახადის შემცირებით. ამ შემთხვევაში კონსტიტუციის დარღვევის რისკიც მოიხსენება.

3. დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი და სქემაში ჩართვის წახალისებისთვის, სახელმწიფოს შეუძლია შეიმუშაოს გარკვეული საგადასახადო შე-ღავათები (ეს შეღავათები უნდა გავრცელდეს კერძო საპენსიო სისტემაში ჩართვის შემთხვევებზეც). ნებაყოფლობითი დაგროვებითი პენსიის სამართლიანობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ "საპენსიო სისტემის რეფორმის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების" კვლევის ფარგლებში გამოკითხული მოსახლეობის 65% სწორედ ნებაყოფლობითი სქემის მომხრეა.

4. საპენსიო რეფორმა არის ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მეტი საჯარო დისკუსია დაინტერესებულ პირებთან, რომ რეფორმას ჰქონდეს ნდობა და იყოს მდგრადი გრძელვადიან პერიოდში",
— ვკითხულობთ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ეკონომისტების საერთო განცხადებაში.

ᲜᲐᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲕᲘᲡ ᲒᲑᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ



კომპანია ს.ს.თ. ნადარბაზევის ტბას ყიდის. წყალსაცავი შიდა ქართლში (გორი-თბილისის ავტობანიდან 3-5 წთ). სარკის მინიმალური ფართობი 65 ჰა, ხოლო როდესაც ტბას ავსებენ სამელიორაციო მიზნით, მისი ფართობი გაცილებით იზრდება, შესაბამისად, სიღრმე 1.8

კომპანია ფლობს თევზჭერის ლიცენზიას 2030 წლამდე. ტბაში მოიპოვებენ სქელშუბლა თეთრს, კობრი/ ამურს, ჭრელ ლოქოს, კაპარჭინას.

ტბა უზრუნველყოფილია 24 საათიანი დაცვით, სათვალთვალო კამერებს, ჩამწერს და ზოგადად ელექტროენერგიას გამოიმუშავებს მზის პანელები.

ტბას ასევე მოჰყვება კატერი ბენზინის ძრავით და ა/მ ნივა 1993 წლის გამოშვების. ქონების საწყისი ფასი 670.000 ლარია, ბიჯი 5.000 ლარს შეადგენს. აუქციონი 23 მარტს დასრულდება.

— ტბის შეძენისას ჩვენ განვახორციელეთ იხტიოლოგიური კვლავა, საკონტროლო თევზჭერა და წყლის ხარისხის ლაბორატორიული ანალიზი. ლაბორატორიული ანალიზის მიხედვით, წყალი შეესაბამება დასაშვებ ნორმებს. დიდი რაოდენობის ფიტო და ზოოპლანქტონის გამო, იხტიოლოგების რეკომენდაციით, ტბა გახლავთ განსაკუთრებით შესაფერისი სქელშუბლასა და კობრის მოსაშენებლად. თუმცა ჩვენ მიერ ჩასმული 250 გრამიანი ლოქოები მოკლე პერიოდში გაიზარდნენ 4-6კგ-მდე დიდი რაოდენობით ცოცხალი საკვების გამო, — აცხადებენ კომპანიაში.



ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲘᲠᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲣᲛᲙᲐᲪᲠᲔᲡᲐᲓ ᲐᲒᲔᲑᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ



 – ბარათაშვილის ქუჩაზე მომხდარ დანაშაულზე პასუხისმგებელი ყველა პირი კანონის წინაშე უმკაკარისად აგებს პასუხს.

წინაშე უმკაცრესად აგებს პასუხს.
ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა მამუკა ჭელიძემ განაცხადა.

მისივე თქმით, შს სამინისტრომ ფაქტზე მყისიერად დაიწყო გამოძიება. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით მიმდინარე-ობს. დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები.

ბარათაშვილის ქუჩაზე შენობიდან შუშის ჩამოვარდნის შედეგად 14 წლის მოზარდი მიღებული დაზიანებების შედეგად საავადმყოფოში მიყვანის შედეგად გარდაიცვალა. ხუთი მოზარდის მდგომარეობა სტაბილურია.

ᲛᲣᲡᲒᲐᲤᲐ ᲔᲛᲠᲔ ᲩᲐᲑᲣᲥᲘ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲔᲡ

დემირელის კოლეჯის მენეჯერი მუსტაფა ემრე ჩაბუქი დაცვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართეს.



ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" ჩაბუქის ადვოკატმა იოსებ ბარათაშვილმა განუცხადა. როგორც ადვოკატმა განაცხადა, ჩაბუქი

ოჯახთან ერთად ცხოვრობს, თუმცა ინფორმაცია გასაიდუმლოებულია და საცხოვრებელთან დაკავშირებით დეტალებზე საუბრის უფლება არ აქვს.

— მუსტაფა ემრე ჩაბუქი ჩართულია დაცვის სპეციალურ პროგრამაში, ისევე, როგორც ჩართულები არიან მისი ოჯახის წევრები. დაკმაყოფილდა მისი განცხადება და მას უკვე სახელმწიფო დაცვა იცავს. გამომდინარე იქიდან, რომ ეს არის გასაიდუმლოებული ინფორმაცია, უფრო მეტ დეტალზე ვერ ვისაუბრებთ, — განაცხადა

იოსებ ბარათაშვილმა.
მუსტაფა ემრე ჩაბუქმა დაცვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის მოთხოვნით, პროკურატურას მიმდინარე წლის 23 თებერვალს მიმართა. ჩაბუქი აცხადებდა, რომ არსებობდა საფრთხე, რაზეც ხმამაღლა და დაწვრილებით ვერ ისაუბრებდა, თუმცა საჭიროება იყო, რომ ისიც ჩართულიყო სახელმწიფო დაცვის პროგრამაში, ისევე, როგორც მისი ოჯახის წევრები იყვნენ ჩართული.

"ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲒᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲜᲧᲐᲚᲔᲑᲣᲚ ᲞᲐᲒᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ 55 ᲜᲐᲠᲙᲝᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲨᲘ ᲛᲡᲯᲐᲕᲠᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲐ"

 შეწყალებულ პატიმართა შორის მოხვდა 55 ნარკოდანაშაულში მსჯავრდებული პირი, რომლებიც დატოვებენ საპატიმროებს, ხოლო 9 პირს შეუმცირდება სასჯელის ვადა.

ამის შესახებ ინფორმაციას "თეთრი ხმაურის მოძრაობა" ავრცელებს:

 შეწყალების საკითხთა კომისიის მიერ მიწოდებული რეკომენდაციების საფუძველზე, პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება და 116 მსჯავრდებული შეიწყალა.

შეწყალებულ პატიმართა შორის მოხვდა 55 ნარკოდანაშაულში მსჯავრდებული პირი, რომლებიც დატოვებენ საპატიმროებს, ხოლო 9 პირს შეუმცირდება სასჯელის ვადა.

მოძრაობის სახელით გვინდა მივულოცოთ შეწყალებულ პირებსა და მათ ოჯახებს უსამართლოდ თავისუფლებააღკვეთილი ოჯახის წევრების სახლებში დაბრუნება. მადლობას ვუხდით საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილსა შეწყალების საკითხთა კომისიას მათთვის თავისუფლების დაბრუნებისთვის და ვიმედოვნებთ, რომ მომავალში შეწყალების აქტი კიდევუფრო მეტ კანონის მსხვერპლ ადამიანს შეეხება.

34M3J4J8J4J 8M66 "UJ36J6JP, PJ46J4J9J9J 9J6RPJ6J9JP J34RJ6J9JP

საქართველოს პროკურატურა ფონდ "იავნანას" საქმეზე განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

— საქართველოს მთავარი პროკურატურის წარმოებაში არსებულ ა(ა)იპ "უდედმამო და მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ფონდი იავნანას" საქმეზე მოწმის სახით გამოკითხვის მიზნით პროკურატურაში დაბარებული იყო ფონდის ყოფილი პრეზიდენტის პ.ბ.-ს მეუღლე, ა.ვ.

იმის გათვალისწინებით, რომ ა.ვ. არ იმყოფება საქართველოში, მიმდინარე წლის 27 თებერვალს საგამოძიებო ორგანოში გამოძახების თაობაზე უწყება ჩაბარდა ფონდის ყოფილი პრეზიდენტის პ.ბ-ს მიერ სამართალდამცავ უწყებასთან ურთიერთობისთვის გამოყოფილ პირს, "უდედმამო და მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ფონდი იავნანას" აღმასრულებელ დირექტორს გ.ა.-ს, რაზედაც შედგა შესაბამისი ოქმი. საქართველოში არ იმყოფება თავად პ.ბ.-ც, ხოლო მისმა ვაჟმა შ.ბ.-მ ა.ვ.-სთვის გადასაცემი უწყების ჩაბარებაზე უარი განაცხადა.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, საქმე ეხება ა(ა)იპ "უდედმამო და მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ფონდ "იავნანას" დიდი ოდენობით თანხის, სამსახურებრი-ვი მდგომარეობის გამოყენებით, შესაძლო მით-ვისება-გაფლანგვის ფაქტებს.

გამოძიების მიერ ამოღებული დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ 2006-2013 წლებში, ა(ა)იპ "უდედმამო და მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ფონდი იავნანას" შემოწირულობებით დაფინანსებულია ა.ვ.-ს ევროპისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გასამგზავრებელი ავიაბილეთების თანხები, ასევე მასზე ხელფასის და სხვა ანაზღაურების სახით გაცემულია თანხები და ხსენებული ხარჯების ოდენობა შეადგენს რამდენიმე ათეულ ათას ლარს. შესაბამისად, გამოძიების მიზანია, ფონდ "იავნანას" თანხების ხარჯვის კანონიერებისა და მიზნობრიობის შესწავლის პროცესში გამოარკვიოს, თუ რატომ ფინანსდებოდა უდედმამო და მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისთვის განკუთვნილი თანხებით ფონდის იმჟამინდელი პრეზიდენტის ოჯახის წევრის, კერძოდ, მეუღლის — ა.ვ.-ს მგზავრობისა და სასტუმროს თანხები, ასევე რამდენად მიზნობრივად და კანონიერად გაიცემოდა მასზე ფონდიდან ხელფასები და სხვადასხვა სახის თანხები.

რაც შეეხება პ.ბ.-ს ადვოკატის განცხადებას, "სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული წესით ა.ვ.-ს გამოძახებასთან დაკავშირებით, განვმარტავთ, რომ აღნიშნული კანონი არეგულირებს არა უცხო ქვეყნის მოქალაქის მოწმის სახით გამოძახების წესს, არამედ უცხო სახელ-მწიფოს ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირის გამოძახების წესს და ამ შემთხვევაში კანონისთვის გამოსაძახებელი პირის მოქალაქეობა განმსაზღვრელი არ არის. ამასთან, პროკურატურისთვის აღნიშნული წესით მოწმის დაბარება არის ერთ-ერთი შესაძლებლობა, რომ ამ ფორმით გამოძახებული იქნეს საზღვარგარეთ อิ้มูทซุก გამოსაკითხი პირი. อึ้งგრამ กลิกป გათვალისწინებით, რომ საგამოძიებო უწყებას კომუნიკაცია აქვს თავად ფონდის ყოფილი პრეზიდენტის მიერ გამოყოფილ პირთან, მოწმე ა.ვ. გამოსაკითხად გამოძახებული იქნა სწორედ აღნიშნული პირის მეშვეობით. ამავე წესით იქნა გამოძიების მიერ მოწმის სახით გამოკითხვაზე გამოძახებული ფონდის ყოფილი პრეზიდენტი პ.ბ.-ც, რომელიც გამოძახების მომენტში, ისევე როგორც ამჟამად მოწმე ა.ვ., იმყოფებოდა საზლვარგარეთ, თუმცა ადვოკატის მხრიდან პ.ბ.-ს გამოძახებასთან დაკავშირებით "სისხლის სა-



მართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლზე აპელირებას ადგილი არ ჰქონია.

პროკურატურა ამ ეტაპზე არ გეგმავს, ისარგებლოს "სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული მოწმის გამოძახების წესით, ვინაიდან მიზანშეუწონლად მიაჩნია მოწმე ა.ვ.-ს მგზავრობასთან და საქართველოს ტერიტორიაზე მის ყოფნასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.

ამასთან, განვმარტავთ, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად გამოკითხვა ნებაყოფლობითია და პროკურატურა იმედს გამოთქვამს რომ მოწმე ა.ვ.
ითანამშრომლებს გამოძიებასთან და პასუხს გასცემს მის მიმართ ძიების პროცესში არსებულ
კითხვებს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი უარს
განაცხადებს, მისი გამოკითხვა მოხდება ა.ვ.-ს
საქართველოში ჩამოსვლის შემდგომ კანონით
დადგენილი წესით — აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

M%36M6M6M13M6M8M8M8M8M9M8M8M9MM9MM9

ანდრანიკ მელტონიანის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით მელტონიანების ოჯახი სამართლიანობის აღდგენას ითხოვს.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საქმის დეგალებზე ისაუბრა ანდრანიკ მელტონიანის მამა მორლენ მელტონიანმა. მისი თქმით, 2016 წლის 30 ივლისს წალკის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე სამსონ თამარიანი აიკ მელტონიანის შვილს მანქანით დაეჯახა, რის შედეგადაც არასრულწლოვანი ხეიბარი დარჩა, ხოლო შემდეგ მელტონიანების ოჯახში თამარიანები მივიდნენ და ანდრანიკ მელტონიანი მოკლეს.

— 2016 წლის 30 ივნისს თამარიანები ჩვენს ოჯახს თავს დაესხნენ და ჩვენი მოკვლა სურდათ. ორგანიზატორი — სამსონ თამარიანი მანქანით მოვიდა და აიკ მელტონიანის არასრულწლოვანი ვაჟის მერგელ მელტონიანის მოკვლა სურდა. მან დაუძახა მერგელს, დაარტყა, შემდეგ კი მანქანით გადაუარა და მძიმე დაზიანებები მიაყენა. ჩემი შვილი, აიკ მელტონიანი ჩაერია და ბავშვი გადაარჩინა. სამსონ თამარიანმა დანაშაულის ადგილი დატოვა და სახლში გაიქცა, შემდეგ კი საკუთარი ძმა სამველ თამარიანი და ვაჟი ანდრანიკ თამარიანი "ვინჩესტერით" შეიარაღებულები ჩვენი სახლისკენ გამოაგზავნა.

ამ დროს მოვიდა პოლიცია. ჩემმა შვილმა აიკ მელტონიანმა ყველა-ფერი უამბო პოლიციის უფროსს და სამსონ თამარიანის დაკავება სთხოვა. პოლიციის უფროსმა ჩემს ვაჟს დასცინა და თქვა, რომ თვითონ უკეთ იცის — ვინ დააკავოს და ვინ — არა. პოლიციის უფროსი წავიდა თამარიანების სახლში, შემდეგ კი ჩვენთან დაბრუნდა. ჩემმა ვაჟმა ისევ სთხოვა დახმარება, თუმცა, უშედეგოდ. 10-15 წუთში "ფორდ ტრანზიტით" სამველ თამარიანი და ანდრანიკ თამარიანი ჩვენთან მოვიდნენ და ჩემ თვალნინ ორი გასროლით მოკლეს ჩემი ვაჟი ანდრანიკ მელტონიანი და გაიქცნენ. შემდეგ კი აიკ მელტონიანის არასრულწლოვანი ვაჟის ამბარ მელტონიანის მოკულა ცადეს, რის შემდეგაც ჩემმა შვილმა სროლა დაიწყო, — განაცხადა მორლენ მელტონიანმა.

აიკ მელტონიანის ადვოკატ დიანა გვიშიანის განცხადებით, გამოძიება თამარიანებისთვის ხელის დაფარებას ცდილობდა.

— 2016 წლის 30 ივლისს ქვემო ქართლში, წალკის რაიონში მოხდა შემზარავი ფაქტი, რის შედეგადაც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს ჰყავს ხეიბარი არასრულწლოვანი შვილი, მის თვალწინ მოკლული ძმიშვილი ანდრანიკ მელტონიანი, ხოლო თავად აიკ მელტონიანი უკანონო პატიმრობაში იმყოფება. ადამიანი, რომელმაც დაახეიბრა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის არასრულწლოვანი შვილი, გამართლებულია სასამართლოს მიერ, იქიდან გამომდინარე, რომ ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურამ აწარმოა არასწორი გამოძიება, იყო მიკერძოებული და ტენდენციური, ფაქტობრივად, ხელი დააფარა დამნაშავეებს. პროკურატურის მიერ წარდგენილი კვალიფიკაცია არასწორი იყო და მოსამართლემ პირდაპირ მიუთითა განაჩენში, რომ ეს კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე



მუხლი იყო არასწორი და იგი უნდა დასჯილიყო სხვა მუხლით. სასამართლოს არ აქვს უფლება, რომ ბრალდებულს სასჯელი დაუმძიმოს და ეს ადამიანი გაამართლეს.

რაც შეეხება მკვლელობის ფაქტს, რომელიც აღნიშნული შემთხვევიდან ზუსტად 20 წუთში მოხდა, თანამონაწილე პირი სამველ თამარიანი ცნობილია დაზარალებულად, ანუ ის ადამიანი, რომელმაც მკვლელი მიიყვანა შემთხვევის ადგილზე, – განაცხადა ადვოკატმა.


დიანა გვიშიანის ინფორმაციით, მელტონიანებსა და თამარიანებს შორის დაპირისპირება არსებობდა, მათ შორის პოლიტიკურ ნიადაგზეც.
— აიკ მელტონიანი იყო "ქართული ოცნების" ერთ-ერთი დამფუძნე-ბელი წალკის რაიონიდან, ყოფილი პარლამენტარი, ხოლო სამსონ თამარიანი იყო საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრი, ანუ მათ შორის დაპირისპირება ამ ნიადაგზეც არსებობდა. თვითონ პროკურატურაც ადასტურებს, რომ ამ ორ ოჯახს შორის დაპირისპირება იყო. — განაცხადა ადვოკატმა დიანა გვიშიანმა.

შორის დაპირისპირება იყო, — განაცხადა ადვოკატმა დიანა გვიშიანმა.
ადვოკატის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი აიკ მელტონიანი
დაკავებულია იმიტომ, რომ თავის დაცვას ცდილობდა. გვიშიანის ინფორმაციით, ანდრანიკ მელტონიანის მკვლელის საქმე და აიკ მელტონიანის
საქმე ერთად იხილებოდა და ორივე მათგანს 8 წელი მიესაჯა. ადვოკატს
აღნიშნული გადაწყვეტილებაც უსამართლოდ მიაჩნია.

ᲛᲡᲯᲐᲕᲠᲦᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲗᲐᲛᲐᲠ ᲒᲐᲚᲘᲙᲐᲫᲔᲛ ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

მსჯავრდებულ თამარ ტალიკაძის ინფორმაციით, მან სასჯელაღსრულების ნომერ მეხუთე დანესებულებაში შიმშილობა დაიწყო. მსჯავრდებული "ინტერპრესნიუსს" თავად დაუკავშირდა და აღნიშნა, რომ მან შიმშილობა ხელისუფლების მხრიდან უყურადღებობის გამო დაიწყო. ტალიკაძის თქმით, ის 11 წელია მსჯავრს ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვისთვის იხდის. პატიმრის ინფორმაციით, მას პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება ახლა უწევდა, რაზეც უარი თქვა, ვინაიდან მიიჩნევს, რომ უდანაშაულოა. მსჯავრდებული სახალხო დამცველთან შეხვედრას ითხოვს.

– მეთერთმეტე წელია, სასჯელს ვიხდი. ჩვენნაირი ადამიანები, ფაქტობრივად, მოტყუებულები ვართ. თავიდანვე დაგეგმილი იყო და ითქვა, რომ შეიქმნებოდა დარღვევებისა და ხარვეზების დამდგენი კომისია, რაც, სამწუხაროდ, არ შეიქმნა.



ჩვენნაირი ადამიანები, ანუ არაცნობადები, რომელთა საქმეებიც არ არის რეზონანსული, უპატრონოდ ვართ მიტოვებული. საერთოდ აღარ ახსოვს ხელისუფლებას, ასეთი პატიმრები თუ კიდევ ჰყავს, — განაცხადა მსჯავრდებულმა.

მსჯავრდებულის შიმშილობის ფაქტს ადასტურებენ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში. როგორც "ინტერპრესნიუსს" უწყებაში განუცხადეს, მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და ის ექიმების დაკვირვების ქვეშ იმყოფება. მათივე ინფორმაციით, პატიმარს ციხის ადმინისტრაციასთან და სასჯელაღსრულების სამინისტროსთან არავითარი პრეტენზია არ აქვს და მხოლოდ სახალხო დამცველ ნინო ლომჯარიასთან, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივან ანა ნაცვლიშვილთან და დეპუტატ ელენე ხოშტარიასთან შეხვედრას ითხოვს.



ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ ᲛᲐᲡᲨᲒᲐᲑᲣᲠᲘ ᲝᲛᲘ ᲛᲬᲘᲤᲓᲔᲑᲐ

ყალიბდება ბირთვული პოტენციალის მქონე ქვეყნების წრე

მარიამ მჭედლიშვილი

სირიაში გრძელდება რამდენიმე ლოკალური ომი სხვადასხვა მხარის მონაწილეობით. ქვეყნის მოსახლეობის ნაწილი ჰუმანიტარულ კატასტროფას განიცდის. ბოლომდე დამარცხებულად არ ითვლება სირია-ერაყის ტერიტორიაზე შემორჩენილი ტერორისტული დაჯგუფება "ისლამური სახელმწიფო".

ამის ფონზე დასავლელი ექსპერტები ალა-პარაკდნენ მასშტაბური ომის საფრთხეზე.

ამერიკელი ანალიტიკოსების განცხადებით, თუ იანვარში ყურადღება მიპყრობილი იყო იმაზე, მოიტანს თუ არა 2018 წელი რევოლუციას ირანში, დღეს ისმის შეკითხვა – მოხდება თუ არა დიდი ომი ირანსა და ისრაელს შორის? საამისოდ წინაპირობა შექმნილია – ესაა ორი კვირის წინ განვითარებული მოვლენები. მაშინ ისრაელმა ჩამოაგდო თავის საჰაერო სივრცეში სირიიდან აფრენილი ირანის უპილოტო თვითმფრინავი. ამის შემდეგ ისრაელმა იერიში მიიტანა ირანის ობიექტებზე სირიაში, რასაც სირიის ძალების მიერ ისრაელის გამანადგურებლის განადგურება მოჰყვა.

ეს მოვლენები, ავტორების აზრით, იქცა ახალი მასშტაბური ომის დასაწყისად. დიდი ომი გარდაუვალია, თუ ირანი "ისლაშური სახელმწიფოს" საბოლოოდ განადგურების შემდეგ შეეც-დება, დარჩეს და გაძლიერდეს ამ ტერიტორია-

შესაძლო ომში ირანის მხარეს აუცილებლად ჩაერთვებიან "სახალხო მობილიზაციის ძალები". მათ ბირთვს შეადგენენ შიიტური შეია-რაღებული ფორმირებები, რომლებსაც მხარს



უჭერს ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორ-

ებრაელი ანალიტიკოსების ინფორმაციით, რეგიონში ვითარდება სცენარი, რომლისაც ათწლეულების განმავლობაში ეშინოდათ. ისედაც ფეთქებადსაშიში ადგილი ახალი ბირთვული მოთამაშეებით ივსება.

ამჯერად საუბარი არ არის ირანის გახმაურებულ ბირთვულ პროექტზე. საფრთხეს ქმნიან სხვა სახელმწიფოებიც. ისინი ამუშავებენ გეგმებს ატომური ენერგეტიკის სფეროში. საჭიროების შემთხვევაში, ადვილია ატომური ენერგე-ტიკის გადაყვანა სამხედრო ლიანდაგზე. ისრაელი ბოლო წლებში არაოფიციალუ-

რად თანამშრომლობდა საუდის არაბეთთან. ამის მიუხედავად, საუდის არაბეთი ერთ-ერთ საფრთხედ განიხილება. ისრაელში ფიქრობენ, რომ ამ არაბულ სახელმწიფოს ირანის შიში აქვს და ის თავის ინფრასტრუქტურას ირანის სამხედრო მიზნებს მოახმარს.

საუდის არაბეთს ატომური ელექტრო-სადგურებისთვის საჭირო რეაქტორები, შეთან-ხმების თანახმად, აშშ-მ უნდა მიაწოდოს. ვაშინგტონის პირობაა, რომ ამ ქვეყანამ არ დაიწყოს ურანის გამდიდრება. ამგვარ მოთხოვნებს ასრულებენ ეგვიპტე და არაბეთის გაერთიანებული საამიროები. საუდის არაბეთი ამ პირობას ეწინააღმდეგება. თელ ავივს ეს საგონებელში აგ-

ანალიტიკოსების თქმით, ამერიკას უძნელდება, საუდის არაბეთს აუკრძალოს ურანის გამდიდრება იმ დროს, როცა, 2015 წლის შეთანხმებით, ირანს ამის უფლება მიეცა. მოსალოდნე-ლია, ამ შეზღუდვის მოხსნა ეგვიპტემ და გაერ-

თიანებულმა საამიროებმაც მოითხოვონ. არსებობს იმის საშიშროებაც, რომ ამერიკასთან უთანხმოების გამო საუდის არაბ<u>ე</u>თმა რეაქტორები ატომური ელექტროსადგურები-სათვის რუსეთიდან ან ჩინეთიდან მიიღოს.

საუდის არაბეთს, ეგვიპტესა და რეგიონის სხვა ქვეყნებს რუსეთთან გარკვეული ურთიერ-თობა აქვთ. საუდის არაბეთმა მოსკოვთან შეათანხმა ბირთვული კვლევების სფეროში თანამ-შრომლობა. რუსეთი რეგიონში თავისი გავლენისთვის იღვწის.

ისრაელში აცხადებენ, რომ ქვეყნის გარ-შემო ყალიბდება ბირთვული პოტენციალის მქონე ქვეყნების წრე. ისრაელი მათ სამხედრო მეთოდებით ვერ მოერევა.

ᲞᲣᲒᲘᲜᲘ: "ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲒᲔᲠᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲝᲑᲐᲐ"

რუსეთის პრეზიდენტმა პარლამენტის ორივე პალატის წევრების წინაშე სიტყვით გამოსვლისას რუსეთის მთავარი მტერი დაასახელა.

რუსეთის პრეზიდენტის თქმით, რუსეთის მთავარი მტერი და საფრთხე ჩამორჩენილობაა.

- საქმე ის კი არ არის, რომ ვიღაცა მოვა, ჩვენს მიწებს მიიტაცებს და ააოხრებს. ჩვენი მთავარი საფრთხე და მტერი ჩამორჩენაა. თუ ამ სიტუაციას ვერ გავუმკლავდებით, ის უფრო გამძაფრდება. ეს რთული ქრონიკული დაავადებაა, რომელიც ნა-ბიჯ-ნაბიჯ ანადგურებს ორგანიზმს, – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, თუ რუსეთი ამ პრობლემას არ გადაჭრის, მას მომავალი არ ექნება.

– ყველაფერი უნდა მოვიშოროთ, რაც ჩვენს წინსვლასა და განვითარებას ამუხრუჭებს. თუ ამას არ ვიზამთ, ჩვენს შვილებს, ჩვენს ქვეყანას მომავალი არ ექნება. განვითარების ისეთი დინამიკა უნდა უზრუნველვყოთ, რომ არცერთმა დაბრკოლებამ ხელი არ შეგვიშალოს დამოუკიდებლად წინსვლაში. ჩვენ თვითონ უნდა განვსაზღვროთ ჩვენი მომავალი, – აღნიშნა ვლადიმერ პუტინმა.



ᲞᲝᲠᲝᲨᲔᲜᲙᲝᲛ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲐᲓᲐ

"უთქვენოდ რუსეთთან დიდ ომს ვერ ავიცილებდით"



უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ კიევში პრესკონფერენცია გამართა. პრე-ზიდენტმა დასავლეთის ქვეყნებს რუსეთის მი-მართ დაწესებული სანქციების გამო მადლობა

– სანქციებმა რუსეთსა და უკრაინას შორის ფართომასშტაბიანი ომი შეუძლებელი გახა-

ამავე დროს, პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ფართომასშტაბიანი ომის საფრთხე კვლავაც რეალურია. ამიტომ სანქციების შენარჩუნება აუ-

ცილებელია.
პოროშენკო დონბასში გაეროს ცისფერ-ჩაფხუტიანების ჩაყენების საკითხსაც შეეხო. მან კატეგორიულად გამორიცხა ე.წ. დონეცკ-ლუგან-სკის რესპუბლიკებთან შეთანხმება.

— ესაა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი. ე.წ. დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკები კი საოკუპა-

ციო ადმინისტრაციას წარმოადგენენ, – თქვა უკრაინის პრეზიდენტმა. პოროშენკომ საგანგებოდ გაუსვა ხაზი სტოკ-

ჰოლმის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილე-ბას, რომლის ძალითაც გაზპრომი მოვალეა, ნაფტო-გაზს უკრაინის გაზის ტრანზიტისთვის 4,64 მილიარდი დოლარის კომპენსაცია გადაუხადოს.
– ეს უკრაინის ისტორიული გამარჯვებაა,

ამბობს პოროშენკო.

პოროშენკომ აღნიშნა ის დახმარება, რომელიც უკრაინას აშშ-მ გაუწია. პრეზიდენტმა საზოგადოებას ამცნო, რომ უკვე უახლოესი კვირების განმავლობაში აშშ უკრაინას ლეტალური იარაღის პირველ პარტიას მიაწვდის.

დასასრულს უკრაინის პრეზიდენტმა განაცხადა რომ ნატოსა და ევროკავშირისკენ მისწრაფება შეუქ-

– ეს კონსტიტუციაშიც დაფიქსირდება, – გამოაცხადა პრეზიდენტმა.

ᲚᲐᲕᲠᲝᲕᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲓᲐᲨᲘᲜᲔᲑᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ აშშ ევროპას რუსეთთან ბირთვული ომისთვის ამზადებს.

– მსურს, ევროპელებს შევახსენო რუსეთი ბირთვული სახელმწიფოა. თუ საქმე ომამდე მივიდა, ევროპა, ელემენტარულად, აღარ იქნება, – თქვა ლავროვმა.

განცხადება სხვა არაფერია, თუ არა მცდელობა, დამადასტურებელია, – აცხადებს "დოჟდი".

დააშინოს ევროპა. დასავლეთთან ვერცერთი პრინციპული საკითხის შეთანხმება ვერ მოხერხდა, იქნება ეს ჩრდილოეთ კორეა, სირია თუ უკრაინა. რუსულმა დიპლომატიამ სრული კრა განიცადა. მოსკოვიც ევროპის "კარიბის სინდრომით" დათრგუნვას ცდილობს.

– ბირთვული ხელჯოხი, რომლითაც რუტელეარხ "დოჟდის" ცნობით, ლავროვის სეთი იმუქრება, სინამდვილეში მისი უძლურების



ᲒᲠᲐᲛᲞᲘᲡ ᲡᲘᲫᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲘᲦᲣᲛᲚᲝᲔᲑᲔᲑᲗᲐᲜ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲨᲕᲔᲑᲔᲜ

აშშ-ის პრეზიდენტის სიძეს, კუშნერს, რომელიც თეთრ სახლში მუშაობს, არ დაუშვებენ დოკუმენტებთან, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებებს შეიცავს. მიზეზი ბანალურია: კუშნერს აუცილებელი შემოწმება არ გაუვლია.



პრეზიდენტ ტრამპს აქვს უფლება, თავისი განკარგულების საფუძველზე კუშ-ნერს ყველა შეზღუდვა მოუხსნან. ტრამპმა ამაზე უარი განაცხადა: — თეთრი სახლის საქმეებს ადმინის-

ტრაციის უფროსი, გენერალი კელი განა-გებს. მის კომპეტენციაში არ ჩავერევი, — თქვა ტრამპმა.

მოამზადა ნიკა თეგზაძემ

ᲑᲣᲙᲘᲜᲘᲡᲢᲘ ᲨᲔᲘᲡᲧᲘᲓᲘᲡ XVIII-XIX LJJJJOONL d3JCJJJA 6086JJL

ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲡ, ᲒᲠᲐᲕᲘᲣᲠᲔᲑᲡ, ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲡ, ᲞᲚᲐᲥᲐᲢᲔᲑᲡ,

ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲡ, ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲡ, 1945 ᲬᲚᲐᲛᲦᲔ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲣᲚ ᲤᲐᲘᲤᲣᲠᲘᲡ ᲡᲒᲐᲒᲣᲔᲑᲡ 200 ᲚᲐᲠᲐᲦ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲥᲣᲠᲥᲔᲚᲡ



591-75 35 38

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲦᲔᲑᲔᲑᲘ

ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲡ

გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სა მუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02. <u>%\\u00e46\\u00e400\u00f3\\u00e40\u00e40\\u00e40\u00e40\u00e40\\u00e40\</u>

 კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის სა-

ერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავე-

ბა. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11;

 სქესობრივიუძლურება(იმპოტენცია),პროს-ტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარება-ზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკუ-რიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

 მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

 ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევადამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინის-გან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთე-

🎍 სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკ რძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ปู-โถ้ก ชิงิศักงชิก.

• ძვალ-სახსართაპრობლეშების:კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახ-სრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, "მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

 ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადე-ბების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის განმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, "მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

• მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, "მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქნი ინგა.

• სიშაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შე-დეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, "მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.



3N6 N&AMᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ხვალ ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი იწყება. უკვე გაგაცანით 5 გუნდი, ხოლო კიდევ 5 გუნდს, რომელთა უმრავლესობას ამბიციური მიზნები აქვს, დღეს გაგაცნობთ.

გორპედო გასული სეზონის ჩემპიონია – ქუთაისურმა გუნდმა 15-წლიანი პაუზის შემდეგ მოიპოვა ქვეყნის უძლიერესი გუნდის ტიტული. ტორპედომ ეს სეზონი ტიტულით დაიწყო და უკვე მოასწრო, საქართველოს სუპერთასს დაუფლებოდა.

რიონისპირული კლუბი 2018 წლის სეზონს სხვა სიახლეებითაც ხვდება: ჰყავს ახალი სპონსორი, აქვს ახალი ლოგო და ეკიპირება, მზადდება ახალი საიტი, გაეშვა კლუბის მაღაზია და ტელევიზია.

ეს ყველაფერი ევროპული სტანდარტების არის, რასაც ვერ ვიტყვით გუნდის შემადგენლობაზე.

ტრ**ბნს**ფერეგე

იმერულმა კლუბმა ძირითადი ბირთვი შე-ინარჩუნა, თუმცა ჰქონდა კლებაც, კლუბი დატოვა გუნდის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ფეხბურთელმა გუგა ფალავანდიშვილმა. რაც შეეხება მომსვლელებს, ჩვენდა გასაკვირად, კლუბს არ უაქტიურია და ნამატს გაძლიერებას ვერ დავარქმევთ. თუმცა, გულშემატკივრებს შევსებასაც ჰპირდებიან

